ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლ. პარტია

„საქართველოს" რედაქციის გამოცემა № [illegible]

6839.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი კრიტიკა

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს,
რომ ჩემზედ მეტს იწველიდეს".
(ქართული ანდაზა).

პარიზი
„საქართველოს" სტამბა rue Saint-Sauveur, 51.

1904

329. 24 (47.921)
ეროვნული ბიბლიოთეკა
257/3

## [illegible]

(პასუხი „ქართველ ნაციონალისტების" ავტორს).

### 1.

უსაზღვარგარედ დაიბეჭდა წიგნაკი « ქართველი ნაციონალისტები »'ს სათაურით. წიგნაკი გამოცემულია რუსეთის ს.-დემოკრატულ პარტიის ცენტ. კომიტეტის ნებადართვით « ქართულ და სომხურ ენებზე ს.-დ. პარტიულ ლიტერატურის გამომცემელ კომისიის » მიერ. წიგნაკი წავიკითხეთ და ეხლა იმისს ანგარიშს მოგახსენებთ.

« ქართველი ნაციონალისტები » თურმე « საქართველო » და მისნი თანამგრძნობნი ყოფილან. მართალია, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში სხვა ნაციონალისტებიც არიან, მაგრამ « საქართველოს » ნაციონალისტები სხვანაირი, განსაკუთრებული ეგზემპლიარებიაო. მათი უმთავრესი თვისება ისაა, რომ ველურის ინსტიქტებით არიან გამსჭვალულნი. მაგრამ თავიანთს ველურობას ხერხიანად მალავენ. « ეს ვითომდა ახალი მოღვაწენი მხოლოდ გარეგანის სახით განირჩევიან ძველებისაგან, — მოგვითხრობს წიგნაკის ავტორი, — ისინი უფრო ხერხიანად მალავენ თავიანთ ხულისკვეთებას, უფრო ფრთხილად სროლილობენ (sic!) კაცთა საჭერ ბადეს და ამიტომ უფრო ძნელი საცნობნი არიანო » (გვ. 49) და სავალალო ის არის, რომ ამ « მონადირეთ » თვალი ხალხისაკენ, განსაკუთრებით კი პროლეტარიატისაკენ უჭირავთ. მათის გაბმისა და შებოჭვის ცდაში არიან. ხოლო, ხალხს ომს აშკარად არ უცხადებენ, « ვერ ჰბედავენ პირდაპირ სთქვან: ჩვენ ბატონნი ვართ და თქვენ მსახურნიო. არა, მათ ხერხს მიჰმართეს, ერის უფლებები ფარად იშველიეს და გაიძახიან: ჩვენ რა, ჩვენ მხოლოდ ერის ინტერესები გვალაპარაკებსო »! (გ. 48) ნამდვილად კი ამ ვაჟბატონებისათვის « ერის უფლებათა დაცვა მხოლოდ ის პირბადეა, რომლითაც საზოგადოებაში გამოდიან და თავიანთ კლასიურ ბატონობას იცავენო » (იქვე).

ერთის სიტყვით, სახიფათო და მავნეა ეს ხალხიო. კიდევ ჯანი გავარდნიათ, ისე ყოფნას რომ სჯერდებოდნენ. მაგრამ არა, ეს ახალ ტიპის ნაციონალისტები გულხელდაკრეფილნი როდი სხედან. ესენი ჰფიქრობენ « ხალხი ჩვენის ხელიდამ ვერ წავა, მხოლოდ საჭიროა მისი ცნობა, თავზე ხელის მოსმა, მოფერება, გულის მოგება და მით ჩვენი აზრების მათ შორის შეპარებაო. და რადგან მუშათა მოძრაობის მოფერე-

39 გვ. (გ0X12) 205

ბა აშკარად, ლეგალურად აღარ შეიძლებოდა, გამოვიდნენ საზღვარგარედ, დაარსეს ახალი ორგანო და სახელად «საქართველო» დაარქვესო».

და აი ბროშურის ავტორმა იკისრა ამ ნათ[illegible]-ნაციონალისტების შესწავლა, განიზრახა მათის აზრებისა და ბურუსით მოცულ სულის კვეთების გამომზევება და როგორც შედეგი ამ შესწავლისა და ღრმა დაფიქრებისა აღმოაჩინა, რომ «საქართველო» ბოროტგანმზრახველთა ორგანიზაცია ყოფილა, რომ იმ ნაციონალისტთა ბურჟუაზულ ბრბოს, რომელიც ამ ორგანოს მეთაურობს, ერთად-ერთი განზრახვა აქვს: იგი მოწადინებულია სოციალიზმი ძირიანად ამოაგდოს ქართველ ხალხის გულიდამ. მართალია, ამ ვაჟბატონების გაბოროტებულ სულს სხვა ბილწი და მავნე სურვილებიც აშფოთებენ, მაგ., ისინი მოწადინებულნი არიან ძველი წესი, ბატონყმობა აღადგინონ საქართველოში, მაგრამ ეს, სხვათაშორის, ხოლო უმთავრესი მათი მოქმედების საგანი იყო, არის და იქნება პროლეტარიატის მოტყუება, მასთან ბრძოლა და სოციალიზმის ძირიან-ფესვიანად ამოგდებაო.

აი, პირუთვნელად რომ განვსაჯოთ, შინაარსი და დედააზრი «ქართველ ნაციონალისტებისა». ვნახოთ ახლა, რანაირად ასაბუთებს ავტორი ამ დედა-აზრს და თავის აღმოჩენას.

2.

ბროშურის ავტორი თავის აზრების დასამტკიცებლად განსაკუთრებულ კრიტიკულ მეთოდს ხმარობს, იმგვარ მეთოდს, რომელსაც, მართალია, მეცნიერებაში სახელს ვერ მოუნახავთ, მაგრამ იგი მეთოდი ზოგიერთ შემთხვევაში ფრიად გამოსადეგია, მაგ., როდესაც «კრიტიკოსი» მოწადინებულია შავი თეთრად აღიაროს, ყინული — ცეცხლად, როდესაც იგი კალამს მხოლოდ იმიტომ იღებს ხელში, რომ მოპირდაპირეს ჩირქი მოსცხოს, მისი ზნეობრივი ფიზიონომია შეურაცხჰყოს. ამ მხრივ ჩვენის კრიტიკოსის მეთოდი სწორედ რომ შეუდარებელია. რა ხასიათისაა ეს მეთოდი? მოკლედ ახსნა ძნელია, შედარებით მოგახსენებთ, ისე უფრო მიჰხვდებით. წარმოიდგინეთ, მე ვარჩევ და ვაფასებ რომელიმე პოლიტიკურ თხზულებას. თხულება რთულია, რამდენიმე თავისაგან შესდგება. თხზულების ავტორი ეხება ხალხის ცხოვრების პოლიტიკურ ფორმებს, იწუნებს ერთს, აქებს მეორეს; ავტორი ლაპარაკობს სხვა და სხვა კლასების და წოდებების შესახებ, რომლისაგანაც შესდგება ხალხი; ხანგრძლივ ყურადღებას აქცევს მშრომელ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას; ეკონომიურ რეფორმებზე და რევოლუციაზე აქვს საუბარი. წარმოიდგინეთ, რომ მე ამ თხზულების დაფასების დროს თავი-

თვეულ თავს ცალკე ვარჩევდე, თხზულებას არ ვითვალისწინებდე მისის საერთო ხასიათის მიხედვით. წარმოიდგინეთ აგრეთვე, რომ, შემხვდება თუ არა თხზულებაში ახალი საგანი, ამნაირი აზრი და ეჭვი თავში მებადებოდეს [illegible] ავტონომიის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ რატომ [illegible] ავტონომხას, ვითომ სრული პოლიტიკური თავისუფლება რითი ჩამოუვარდება ავტონომიას ? ხოლო რაკი მაინც და მაინც ავტონომიას ეტრფიალება, აქ რაღაც სხვა მოსაზრება და ეშმაკობაა. ავტორი თ.-აზნაურებს იხსენიებს, წარმოიდგინეთ, მღვდლებსაც კი. აბა თუ კაი კაცია, რატომ იხსენიებს ამ გახრწნილ ადამიანთა სახელებს, ვფიქრობ მე. აქ რაღაც უნდა იყოს, ალბად თავადების გულის მოგება უნდა და უეჭველია მღვდლებსაც გაჭირვების ჟამს სამოთხის კარებს გაალებინებს. მაგრამ დახეთ ავტორის თავხედობას, ყველა ამასთან, ხალხის, მშრომელ ხალხის მდგომარეობასაც შეეხო. ეხლა კი ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ ავტორი გარყვნილი და სინიდისს დაკარგული ადამიანია და პროლეტარის და გლეხის შებოჭვის სურვილი ალაპარაკებს. აბა, ხალხის სოციალურ მდგომარეობის შესახებ რისთვის მოგვიყვა ლაპარაკს, თუ რაღაც ცუდი აზრი არ უდევს გულში. ჰო, მესმის, სოციალ-დემოკრატულ აზრების გავრცელება რომ სდომნოდა, კიდევ შეიწყნარებდა კაცი, მაგრამ დახეთ მისს თავხედობას, ხალხის გაჭირვებას ეხება და გაჭირვებიდამ ღსნას მარქსიზმში კი არ ხედავს, არამედ რაღაც სხვა ვითომდა ისიც სოციალისტურ მიმდვრებაში. არა, ნამდვილად აქ რაღაც ეშმაკობა, რაღაც ცუდი განზრახვა იმალება ».

ასეთია მეთოდი ჩვენის კრიტიკოსისა. მაგრამ მეთოდი საბუთი არ არის. მეთოდი მხოლოდ საბუთების დამწყობი და მომწესრიგებელი საშუალებაა. ასე რომ, რაც უნდა ხერხიანს და « გამბედავ » მეთოდს ხმარობდეს კრიტიკოსი, მისის თხზულების გამარჯვება საბუთების ღირსება-ნაკლულევანებაზეა დამოკიდებული. ხოლო საბუთების ღირსება დამოკიდებულია ცოდნასა, ლოღიკის სიმტკიცესა და ავტორის პატიოსნურ განზრახვაზე. ამიტომ ისევ ავტორის საბუთები გავსინჯოთ გულდასმით და გავიგოთ ვისთან გვაქვს საქმე.

ავტორს არ მოსწონს ჩვენ მიერ წამოყენებული ავტონომიის კითხვა. რატომ ?.. რატომ ძნელი გასაგებია. სეპარატიზმი რომ ყოფილიყო ჩვენი მიზანი, ავტორი ავტონომიას გამოესარჩლებოდა. დღეს იგი ვითომდა სეპარატიზმს ესარჩლება, რაკი ჩვენ ავტონომიის მომხრენი ვართ. « შეიძლება რომ ქართველობამ სწორედ განცალკევება მოინდომა ? მაშინ ? « საქართველო » უკრძალავს ამას, ხოლო რუსეთის სოციალ-დემოკრატია ამის სრულს უფლებას აძლევს, როგორი წყობილებაც გსურსთ ისეთი დაიარსეთო » (ქ. ნ. გვ. 14).

მართლა ასეა საქმე ? ვინც ჰკითხულობდა ჩვენს წერილებს, იცის, რომ ჩვენ რუსეთის ს.-დ. პ. ც. კომიტეტის ჩვეულებანი არა გვჭირს : არამც თუ არავის არაფერს [illegible]ლავთ », არამედ ყოველთვის ვკიცხავთ ავტორ[illegible]ციპს, რაშიაც უნდა ისატებოდეს იგი. ავტონომიის სასარგებლოდ და სეპარატიზმის წინააღმდეგ საბუთები მოგვყავს. ვისაც არ აკმაყოფილებს ჩვენი საბუთები, სეპარატიზმის მომხრედ დარჩება, ან კიდევ ოლქობრივ თვითმმართველობით წავა იოლას. ხოლო რაც შეეხება რუსეთის ს.-დ. პარტიის გულუხვობას ეროვნულ კითხვის გადაწყვეტის საქმეში, ქვემოდ დავინახავთ, თუ რა თვალთმაქცია ეს გულუხვობა და რა ავანტურიზმის ბეჭედი ადევს მის დაპირებას.

დასდო რა წუნი ავტონომიის პრინციპს, ავტორმა ჩვენმიერ შემუშავებულ ავტონომიის ორგანიზაციის დაწუნებასაც მიჰყო ხელი : « აბა დააკვირდით მათ ეროვნულ თვითმმართველობას, ბმანებს იგი, აქაც ისინი გალიციის და ჩეხიის « თვითმმართველობას » ვერ წასცილებიან ; ვერ წარმოუდგენიათ ისეთი ლიბერალური თვითმმართველობაც კი, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიამ თავის ახალშენებს მიანიჭა (კანადას, ავსტრალიას, ახალ-ზელანდიას და სხვ.) და რუსეთის თვითმპყრობელობამ ფინლანდიას არგუნაო ». და ჩვენდა შესარცხვენად კრიტიკოსი განაგრძობს : « არც ერთი ინგლისის ავტონომიური ახალშენი თავის წარმომადგენელთ არ ჰგზავნიან ინგლისის პარლამენტში, და არც ვალდებულნი არიან ინგლისი დაიცვან მტერთაგან, ხოლო ფინლანდიის ადგილობრივ დაწესებულებებში ოფიციალურ ენად რუსული არ ყოფილა, როგორც ამას « საქართველო » მოითხოვს თავის ავტონომიისათვისაო (გ. 14) (1), მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მაგარი ის არის, დასძენს ავტორი, რომ არ ვიცით, « საქართველოს » ავტონომიაში სრული თავისუფლება იქნება ბეჭდვისა, წერისა, კრებისა და სხ., თუ შეზღუდული. ამის შესახებ გაზეთი თავისს ნაციონალ-დემოკრატულ პროგრამაში არას ამბობს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მისს იდეალს (1) — ჩეხია-გალიციას — ცხადია მომავალ საქართველოშიაც ახლანდელ ჩეხია-გალიციის « თავისუფლება » უნდა დარჩეს, ე. ი, თავისუფლება ჟანდარმულ-პოლიციურიო » (გვ. 15).

ამ ბრალდებას სინიდისიერი და საშუალო განათლების კაცი რომ დააკვირდეს, აღმოაჩენს, რომ იგი დაფუძნებულია უმეცრებასა, ფაქტების განზრახ დამახინჯებასა და ცილისწამებაზე. ჩვენი იდეალი ჩეხია-გალიციაა ?! როგორ მოხხდა, რომ ჩვენ, ეროვნულ ავტონომიის მომხრეები ჩეხია-გალიციას ვეტრფიალებით — იმ ქვეყნებს, სადაც ტერიტო-

(1) კურსივი ჩვენია.

რიული ავტონომია არსებობს და არა ეროვნული? « საქართველოს » მეორე ნომერში ვწერდით: « საერთო კრება სალხის წარმომადგენელებისაგან შესდგება. არჩევნების უფლება უნდა იყოს საყოველთაო. საერთო კრება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოა, დაახლოვებით იმავე ტიპისა, რასაც ამჟამად ავსტრო-უნგრეთის პროვინციებში ვხედავთ ჩეხიასა, გალიციაში და სხვაგან ». აქედამ ავტორმა გამოიყვანა, რომ ჩვენი « იდეალი » ჩეხია-გალიციის ავტონომიაა. ლაპარაკი გვქონდა თვითმმართველობის ორგანოს, პარლამენტის ანუ სეიმის შესახებ, ვსთქვით: იგი უნდა იყოს დაახლოვებით ჩეხია-გალიციის ტიპისა, ე. ი. ცენტრალურ პარლამენტთან ერთად ეროვნულ ქართულ პარლამენტსაც უნდა ჰქონდეს ადგილი, როგორც ავსტრიაში გალიციის და ჩეხიის ოლქებრივ სეიმებს აქვთ ადგილი ცენტრალურ რეიხსრატთან გვერდით-თქო. ბრომურის ავტორმა კი ისე გადააკეთა, ვითომც ჩვენი მისწრაფება ტერიტორიალურ ავტონომიის მოპოვების სურვილი ყოფილიყოს. ამგვარი საოცარი აზრის დამახინჯება ჩვენს კრიტიკოსს « ნებისად » არ მოუვიდა, იგი შედეგია ავტორის უმეცრებისა, რადგან აშკარაა მას არ ესმის, რა განსხვავებაა ტერიტორიალურ და ეროვნულ ავტონომიათა შორის. ამიტომაც მოგვაწერა ტერიტორიალურ ავტონომიის მოპოვების სურვილი. ხოლო ამასთან ჩვენი კრიტიკოსი ვერცკი ამჩნევს, რა წიხლებს ჰთუთქავს თავის მეგობრებს, რადგან « ოლქებრივ თვითმმართველობა » სხვა და სხვა ერებს რომ ანიჭებს რუსეთის ს.-დემოკრატია, სწორედ რომ მიაგავს ჩეხიაში და გალიციაში არსებულ თვითმმართველობას, იმ განსხვავებით კი, რომ ჩეხია-გალიციის ავტონომია უფრო ფართო უფლებებით არის აღჭურვილი,ვიდრე « ოლქებრივი თვითმმართველობა » რუსეთის ს.-დ. პროგრამისა. ჩეხია-გალიცაში სეიმი არსებობს, რუსულ « ოლქობრივ თვითმმართველობაში » კი ამგვარ დაწესებულების ხსენებაც არ არის. მაგრამ, ვიმეორებთ, ამგვარი არევ-დარევა უმეცრებით მოუვიდა ავტორს. და რომ ეს ასეა, ამის საბუთებს თვით ავტორი გვაძლევს.

« ოლქებრივ თვითმმართველობის » მოტრფიალე ავტორი გვისაყვედურებს, აბა სადაური თავისუფლებაა ეს თქვენი ავტონომია! რუსეთის ზემსკი სობორში წარმომადგენლები უნდა ჰგზავნოთო! აქაც, აშკარაა ავტორს არ ესმის, რა განსხვავებაა ავტონომიასა და ფედერაციას შორის. ინგლისის ავტონომიური ახალშენები, რომელნიც თავისდა საუბედუროდ მოჰყავს მაგალითებად, ფედერატიულად არ არიან დაკავშირებულნი ინგლისთან და ამიტომ არც დეპუტატებს ჰგზავნიან ინგლისის პარლამენტში. არც სამხედრო ხარჯში იღებენ მონაწილეობას. ხოლო ავტონომიური სახელმწიფოე-

ბი, რომელნიც ფედერატიულად არიან დაკავშირებულნი, ვალდებულნი არიან საერთო თვითმმართველობის ორგანოც იქონიონ და საერთოდ გასწიონ სამხედრო, როგორც ასეა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ავსტრალიის და შვეიცარიის ფედერაციებშიაც. ასევე უნდა მოეწყოს საქმე ჩვენშიაც, როდესაც რუსეთი შეერთებულ შტატებად გადაიქცევა და როდესაც საქართველოს ფედერატიულ შტატის უფლება მიენიჭება.

მაგრამ ბრომურის ავტორმა ეს ვერ გაიგო. ჯერ იყო და ერთვნული ავტონომია ტერიტორიალურ ავტონომიას შეადარა. ახლა კიდევ ავტონომია ვერ გაურჩევია ფედერაციისაგან. და აი სწორედ ის, რაც ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში თავისუფლების განმტკიცების პრინციპად ჩაითვლება, პასივში ჩაგვირიცხა! ხოლო ამასთან გულუბრყვილო უვიცობამ ბევრი რამ შეუსაბამო ათქმევინა: « ეს გეგმა (ე. ი. ჩვენი) ხან თვითმმართველობაა, ხან ფედერაცია, ბრძნულის კილოთი ბრძანებს ავტორი. ხან ითხოვს — რუსეთი ნუ ჩაგვერევა ჩვენს შინაგან საქმეშიო, ხან იძახის ჩვენ უნდა ჩავერიოთ რუსეთის შინაგან საქმეშიო (ფედერაცია) » (გვ. 48). ასე რომ ავტორის შეხედულებით ავტონომიისა და ფედერაციის შორის თურმე პრინციპიალური წინააღმდეგობა არსებობს. შეუძლებელია თურმე, ერს ავტონომიის უფლებაც ჰქონდეს მინაჭებული, ფედერატიულადაც იყოს იგი დაკავშირებული სხვა ერებთან! ამ ასირებულ კრიტიკოსის აზრით, ფედერაციის დაწესება რუსეთის შინაურ საქმეში ჩარევის მომასწავებლად ჩაითვლებაო!

ვიმეორებთ, ამგვარ აზრების აღიარება პოლიტიკურ ცნობების უცოდინრობის შედეგია. უვიცი კაცი ვერც კი ამჩნევს, ისე იხლართება თავის ხელითვე გაბმულ ბადეში! უვიცი მწერალი ისე ადვილად მიჰმართავს ხოლმე სიცრუეს, თითქოს სიცრუეს კუდი არ ებას და არ იყოს ადვილი დასაჭერი!

ავტორმა უვიცობით დაიწყო, სიცრუვით გაათავა და ცილი დაგვწამა, ვითომ ჩვენის ავტონომიის ადგილობრივ დაწესებულებებში მარტო რუსული ენა უნდა იყოს ოფიციალ ენად გამოცხადებულიო? ერის მეხსნებ აი რას ვწერდით (nº 2): « საერო კრებამ კანონის ძალით უნდა აღიაროს ქართულ ენის უპირატესობა საქართველოში. ქართულ ენას საქართველოს საზღვრებში სავალდებულო ხასიათი უნდა მიეცეს. ამიტომ საერო, საეობო და საქალაქო კრებებში, სკოლაში (დაბლიდამ უმაღლესამდე), სასამართლოში (ყველა ინსტანციებში), ადმინისტრაციაში და ეკლესიაში — ყველგან ქართული ენა უნდა იყოს აღიარებული, როგორც სავალდებულო ენა... მხოლოდ ოფიციალურ ენად, ცენტრალურ სამართველოში და ადგილობრივ დაწესებულებებში სახმარებ-

ლად ო რ ი ე ნ ა — რუსული და ქართული უნდა იყოს ».
ე. ი. ავტონომიის ფარგალში ქართული ენაა გაბატონებული.
ფედერატიულ კავშირის სფერაში — რუსული და ქართული.
არა გვგონია, რომ თავისუფლების მომხრე ადამიანს არ დაა-
კმაყოფილებდეს ამგვარი გადაწყვეტა ენის ხმარების პრობ-
ლემისა. მაგრამ ჩვენს მოკამათეს არ აკმაყოფილებს. ჯერ
იცრუა, ვითომ მარტო რუსული ენა გვსცანით ოფიციალ ენად,
მერე თავისი სიცრუე თითონვე დაიჯერა და რამდენიმე ცრემ-
ლი ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ ამ მხრივ, წარმოიდგინეთ,
ფინლანდიამაც კი გვაჯობა (ჩვენ კი ყველამ ვიცით, რომ ფინ-
ლანდიაში ა რ ა ს ო დ ე ს არ არსებობდა საყოველთაო საარ-
ჩევნო უფლებაზე დამყარებული კონსტიტუცია და ფინური
ენაც არასოდეს არ ყოფილა პეტერბურგის მთავრობასთან
სახმარებელ ოფიციალ ენად.) !

აქ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ პოლიტიკურ და
ეროვნულ თავისუფლების გაკვეთილს გვაძლევს ს.-დემოკრა-
ტი ! ნუ თუ დაგავიწყდათ, ბ-ნო კრიტიკოსო, რომ თქვენის
პარტიის კონგრესზე 48 კაცში თითქმის 24 კაცი წინააღმდე-
გი იყო ენათა თანასწორობისა და ნუ თუ მეხსიერებამ გი-
ღალატათ და აღარ გახსოვსთ, რუსეთის ს.-დ. პარტიის ღე-
ნერალი, ბატონი პლეხანოვი ამავე კრებაზე იმასაც კი ამტკი-
ცებდა, რომ ენათა თანასწორობის კითხვა თურმე ჯერ არც
კი მომწიფებულა რუსეთში ! (1) მაშ გაიხსენეთ ყოველივე ეს
და სამოქალაქო თავისუფლების ლექციას ნუღარ გვიკითხავთ !
ყველა ამაში შეუწყნარებელი ის არის, რომ კაცი ყოველ
ნაბიჯზე სცრუობს. ჯერ იყო და მოგვიგონა, ვითომ ჩვენ
ჩეხია-გალიციის (ტერიტორიალურ) ავტონომიის მომხრენი
ვართ (მაგრამ ეგ უმეცრებით მოუვიდა), მერე ენის შესახებ
იცრუა, ვითომ ოფიციალურ ენად შინაურ დაწესებულებებში
სახმარებლად ჩვენში რუსული ენა უნდა იყოს, და შემდეგ
სიცრუის სისტემა იმითი დააგვირგვინა, ვითომ ავტო-
ნომიურ საქართველოში « ჟანდარმულ-პოლიციურ თავისუფ-
ლების » დამყარების სურვილი გვქონდეს. ამიტომ მეტი არ
იქმნება გავახსენოთ უდიერ მწერალს რამდენიმე სტრიქონი,
სადა გამოხატულია « ჟანდარმულ-პოლიციურ თავისუფლე-
ბის » იდეალი, ჩვენ ვწერდით (n° 2) : « საერო კრების (პარ-
ლამენტის) განსახილველი საქმე იქმნება : ადგილობრივი ბიუ-
ჯეტი (ფინანსები) კანონების გამოცემა... სკოლა, სამსჯავრო,
ადმინისტრაცია, მხედრობა (მილიცია). საერო კრება საქარ-
თველოს სამმართველოს უმაღლესი ორგანო უნდა იყოს ».
ამრიგად ჩვენს ავტონომიაში, პარლამენტსა ანუ ხალხშია მო-
თავსებული « სუვერენიტეტი » ანუ უმაღლესი უფლება. პარ-
ლამენტს ექვემდებარება სამხედრო და საადმინისტრაციო

(1) იხილე ანგარიში რ. ს.-დ. მეორე კონგრესისა გვ. 174.

დაწესებულებანი. გარდა ამისა « ყველა სამოქალაქო დაწესებულებანი უნდა იყოს დამყარებული საყოველთაო [illegible] ნო უფლებათა პრინციპზე » (nº 2, გვ. 4), ე. ი. [illegible] ხელე და მოსამართლე ხალხის მიერ უნდა იყოს არჩეული. რაა ყოველივე ეს, თუ არ « ჟანდარმულ-პოლიციურ თავისუფლების » გამეფება ! კი, მაგრამ პრესის და შეკრების თავისუფლება ? არ გვეშვება ავტორი. გადაშალეთ № 10 და წაიკითხეთ : « ხალხის « სუვერენიტეტი » ადამიანის აღიარება ადამიანად, ლაპარაკის, შეკრების, აზრის და პრესის თავისუფლება — ყოველივე ეს დიდი განძია, რომელიც თავისუფალ პოლიტიკურ ფორმების საშუალებით შეძენილი აქვს განათლებულ კაცობრიობას. ამას არც უარსვყოფთ, პირიქით მოსურნენი ვართ, რომ ამგვარი პირობები ჩვენშიაც დამყარდეს ». დიაღ, უკაცრავად ! ეგ მეათე ნომერშია ნათქვამი, პირველში რომ არ იყო ! ალბად ვიღაცას მოტყუება გსურდათ და ნაირ-ნაირი დაპირებანი შეაპარეთ თქვენს პროგრამაში, თორემ ნამდვილად კი თქვენი პოლიტიკური მიმართულება ჟანდარმულ პოლიციურიაო. აი მსჯელობა ჩვენის პოლემისტისა ! Quelle misère !

## 3.

მაგრამ მივყვეთ ბროშურის ავტორს. იგი ძლიერ გაჯავრებულია, როგორ გავბედეთ და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას წუნი დავსდევით და ეროვნული კითხვის მის მიერ გადაწყვეტაც არ შევიწყნარეთ. « საქართველოს » ცილი დასწამა კრებას (1), « როცა თქვა, რომ ის ეროზის მეტს არას გვაძლევსო ». « რუსეთის მომავალი კონსტიტუცია პარტიის აზრით ცენტრალური კი არ უნდა იყოს, არამედ შეთანხმებული ადგილობრივ საჭიროებებს და კულტურასო » (გვ. 34).

მართლა ცილი დავსწამეთ ხსენებულ კრებას ? მართლა აღიარა რუსეთის პარტიამ პრინციპი დეცენტრალიზაციისა ? ამის შესახებ არაერთხელ გვქონდა ბაასი. ხოლო რადგან ჩვენი მოკამათე გვეუბნება, რაცა სთქვით, ცილისწამებაა მხოლოდ, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საგანზე პატარა ხანს შევჩერდეთ. რუსეთის ს.-დ. პროგრამის მესამე მუხლი ამნაირია : « ადგილობრივი ფართო თვითმმართველობა : ოლქებრივი თვითმმართველობა იმპერიის იმ კუთხეებისათვის, რომელნიც ცენტრისაგან სხვა და სხვა პირობებით და ეროვნებით განირჩევიანო ». მაშასადამე, ოლქებრივ თვითმმართველობას ანიჭებს პარტია კავკასიას და სხვა განაპირა ქვეყნებს. ხოლო ოლქებრივი თვითმმართველობა, როგორც უკვე ვსთქვით, ტერიტორიული თვითმმართველობაა ბოგემია-გალი-

(1) რუს. ს.-დემოკრატთა მეორე კონგრესს.

ციის ტიპისა, იმ განსხვავებით კი, რომ იგი უფრო შეზღუდულია თავის მოქმედებაში, ვიდრე გალიცია-ბოჰემიის თვითმმართველობა, რადგან სეიმი ანუ პარლამენტი არა აქვს მინიჭებული და ამიტომ იგი უფრო გაფართოებულ «ზემსტვოს» მიაგავს. ჩვენი მოკამათე ვერ უარჰყოფს ამ გარემოებას. მაგრამ თავის გასამართლებლად ამბობს: მართალია ოლქებრივი თვითმმართველობა ერობაა, მხოლოდ იგი «რესპუბლიკალური» ერობაა, და არა თ.-აზნაურულ-მონარქიული. «ნუ თუ «საქართველოს» ჰგონია, დასძენს ავტორი, რომ დღევანდელი ერობა რამით წააგავს საფრანგეთის ერობას, გარდა სახელისა»? ამრიგად, საფრანგეთის რესპუბლიკალური ერობა — conseil généreaux — ყოფილა ჩვენის ავტორის და მისის პარტიის იდეალი. საფრანგეთის ბიუროკრატულ ცენტრალიზმის გამამტკიცებელი სისტემა ყოფილა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დეცენტრალიზმის პრინციპი. წეს-წყობილება, რის წინააღმდეგაც ამ ჟამად საფრანგეთის ბურჟუაზული პარტიებიც კი იბრძვიან (სოციალისტურს ვიღა ჩივის) — conseil généreaux'ს რეჟიმი, პრეფექტის, ანუ გუბერნატორის კლანჭებში შებოჭილი, ნაპოლეონის მიერ დაწესებული დეპარტამენტების სისტემა, რაიც საფრანგეთის აწინდელ კონსტიტუციაში უვარგისს და გადაბირებულ დაწესებულებად ჩაითვლება, — აი ეს ბიუროკრატულ ცენტრალიზმზე აგებული ოლქებრივი თვითმმართველობის რეჟიმი დაუპირდაპირა ავტორმა Home rule'ს, ეროვნულ ავტონომიის ორგანიზაციას, საერთო არჩევნების უფლებაზე დაფუძნებულს! კადნიერება თუ გნებავსთ, ამისთანა უნდა!

მაგრამ ჩვენს კრიტიკოსს ერთი თავშესაფარი აღმოუჩენია. რადგან ოლქებრივი თვითმმართველობის სიმაგრე სახიფათოა და იქ მომწყვდეული ჩვენი კრიტიკოსი, მიუხედავად გულადობისა, თავს უშიშრად ვერა გრძნობს, ამიტომ გაჭირების ჟამს, ერთგვარ დროშას აფრიალებს, დროშას, რომელზედაც სხვილის ასოებით აწერია: **право на самоопредѣленіе** (თვითგამორკვევის უფლება). ამ სიტყვის დანიშნულება ის არის, რომ მან უნდა პირი ჩალით გამოუტენოს ყველა იმათ, ვინც გაჰბედავს და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას დააბრალებს, ეროვნულ კითხვის გადაწყვეტაში შოვინისტურ მოსაზრებით ხელმძღვანელობდ. ამგვარ ბრალდებას ნიადაგი აღარ ექნება ამ დროშაზე დაწერილ სიტყვას რომ წაიკითხავენ მოპირდაპირენი. რუსეთის ს.-დემოკრატია ყოველ ერს აძლევს უფლებას, შენ თვითონ როგორც გინდოდეს, ისე გადასწყვიტე შენი მომავალიო. და აბა ამის შემდეგ განა შესაძლებელია, რომ პარტიას შოვინიზმი დავწამოთ.

მართლა ასეთი გულუხვობა გამოიჩინა რ. ს.-დ. პარტიამ? მართლა მიანიჭა ერებს თვითგამორკვევის უფლება? თუ მა-

გრეა, რატომ გვედმებიან ჩვენ, როდესაც ვუწუნებთ « რესპუბლიკალურ ერობას », რომლის ჩარჩოშიაც [illegible] თავსონ ? თუ მაგრეა, რისთვის და ვისთვის [illegible] ამ « ერობის » პროექტი ? ხომ კარგად იციან, რომ არც ერთი რუსეთში მყოფი ერი, რომელსაც არ დაუკარგავს თავისუფლების წყურვილი, არ დასჯერდება იმ პოლიტიკურ დაწესებულებას, რომელსაც თურმე საფრანგეთის ერობის ხასიათი აქვს, ხოლო რომელიც მაინც ერობადვე რჩება. არ დასჯერდებიან ? გზაც დაგვილოცნიაო. **право на самоопредѣленіе**'ს ვაძლევთო. თავისუფალნი არიან, დაიარსონ დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ ერობა არაფრად ეჭაშნიკებათო. კი, მაგრამ, განა თვითგამორკვევის უფლება მარტო დამოუკიდებულ სახელმწიფოს დაარსების უფლება არის ? ჩვენ კი გვგონია, რომ ერს ეუბნებიან : გენიჭება **самоопредѣленіе**'ს უფლება, ამითი მას აგონებენ : შენი საქმეა გინდ დამოუკიდებული სახელმწიფო დაიარსე, გინდ ეროვნული ავტონომია, გინდ « რესპუბლიკალური ერობა » და გინდ კიდევ ფედერატიულად დაეკავშირე სხვა ერებს. ჭკვათმყოფელი ადამიანი სხვა მნიშვნელობას ვერ მისცემ სიტყვა : « **право на самоопредѣленіе**'სა ».

რუსეთის ს.-დემოკრატია კი, როდესაც **самоопредѣленіе**'ს იხსენიებს, ეუბნება დაჩაგრულ ერთ : თუ დამოუკიდებულ სახელმწიფოს დაარსება გინდათ, თავისუფალნი ხართ. მაგრამ ნუ გაახსენებთ ნურც ავტონომიას, ნურც ფედერაციას. იმ შემთხვევაში თუ დამოუკიდებულ სახელმწიფოს დაარსება არ მოინდომოთ, თქვენთვის « რესპუბლიკალური ერობაც » საკმარისია. მართალია, თავზედ გაჯდებათ პროექტი, მაგრამ არ უნდა გავიწყდებოდეთ, რა განსხვავებაა მონარქიულ და რესპუბლიკალურ პროექტის შორის ! და აი პროექტურის თაყვანისმცემელი მოკამათე ყველა ამ მოსაზრებათა შემდეგ სწერს : « ნაციონალურ კითხვაში (ს.-დ. კრებამ) ისეთი რადიკალობა გამოიჩინა, რომ « საქართველოს » არც კი მოსიზმრებიაო » (გვ. 35). სრულს ჭეშმარიტებას ბძანებს ავტორი, ამნაირი რადიკალობა სიზმარშიაც არ მოგვსიზმრებია ! « უფლება ერთა თვითგამორკვევისა, » პრინციპია ს.-დემოკრატიისა, განაგრძობს იგი, ეს გადასწყდა 1896 წ. სოც.-დემ. ინტერნაციონალურ კონგრესზე ლონდონში » (გვ. 35). მაშ ლონდონის კონგრესსაც აგრე ესმოდა სიტყვა « **самоопредѣленіе** » : ან ფრანგისებური დეპარტამენტი, ან დამოუკიდებული სახელმწიფო ?!

მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. ჩვენმა მოკამათემ, რაკი ერთხელ ჩაიფლა ჭაობში, იქიდამ ამოსვლა ვეღარ მოახერხა. და ძნელად წარმოსადგენია რა არ ათქმევინა ავტორს პოლემიკურმა ჟინმა. გვაჩვენა რა, თუ რანაირად ესმის რ. ს.-დ. პარტიას « მომავალი წყობილების დეცენტრალიზაცია », ჩვე-

ნი მოკამათე ცდილობს დაიცვას ცენტრალური პრინციპი საორგანიზაციო კითხვებში, პრინციპი, რომელიც ჩვენ [illegible] დავგმეთ თავის დროზე და რომლის განმტკიცებაში [illegible] სხვა ერთა მუშათა ორგანიზაციათა დასუსტების მეტს არასა ვხედავთ. ჩვენი გაკიცხვა ვერაფრად მოეწონა ბრომურის ავტორს.

ავტორის აზრით ჩვენ იმიტომ ვართ ფედერალიზმის მომხრენი საორგანიზაციო კითხვებში, რომ ფეოდალურ წყობილებას ვეტრფიალებით, ფეოდალურ გრძნობებით არის გამსჭვალული ჩვენი გული, « გაზეთმა ჩვენს პროგრამას ფეოდალის თვალით შეხედა და « ძველი წესის » მოტრფიალედ გამოვიდა. ორგანიზაციაც ფეოდალის სასწორზე უნდა გაეტანა, იმ ფეოდალის, რომელიც თავის ხოფელში და კოშკში იყო გამაგრებული და დანარჩენ ქვეყნის ინტერესებს არ დაგიდევდა. ასეთი *ფეოდალური პარტიკულარიზმით* (კურს. ჩვენია) « საქართველო » გვიქადის ჩვენის პარტიულ ძალების ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხას, მათ განცალკევებას და მით პარტიის « გაფეოდალებას ». ის ებრძვის პარტიის ცენტრალიზმს და ვერ გაუგია, რომ მხოლოდ ყველა ერის რევოლუციონურ მუშათა დახმარებით შესაძლებელია ისეთის ვეშაპის დაცემა, როგორიც თვითმპყრობელობაა » (გვ. 46). ეს სალიტერატურო პატარა ჩიმუში სწორედ საშვილიშვილოდ გადასაცემია. წინადაც გვქონდა შემთხვევა მიგვეთითებინა ავტორის უვიცობაზე, ხოლო ამისთანა მაგალითი ჯერ არ შეგვხვედრია. გაიგეთ, რა აღმოაჩინა ჩვენმა კრიტიკოსმა ? საშუალო საუკუნის ფეოდალური პარტიკულარიზმი და ჩვენი დროის ფედერატიული ავტონომიზმი და კომუნიზმი თურმე ერთი და იგივე მოვლენა ყოფილა ! ავტორი ერმანეთისაგან ვერ არჩევს ძალმომრეობაზედ დამყარებულ პარტიკულიარიზმს, რომელიც განსაზღვრულ ხოფლის, ქალაქის და ოლქის გაღმერთებაზე იყო დაფუძნებული და ავტონომიურ ფედერალიზმს, რომლის დედა-აზრი თავისუფალი და დამოუკიდებულ ერთა ერობაა, დამოუკიდებულ და თავისუფალ ერთა თუ ორგანიზაციათა მკვიდრი შეკავშირებაა ! გერმანელ პატარ-პატარა სახელმწიფოების (ბავარიის, ვიურტემბურგის, საქსონიის და სხვ.) პარტიკულიარიზმი რომელიც დაუსრულებელ ომიანობასა და სისხლისღვრაში მდგომარეობდა წარსულში, რადგან თვითოეულ ფეოდალურ სახელმწიფოს, თვითოეულ « კოშკს » ბატონობა ჰსურდა, გერმანულ სახელმწიფოთა პარტიკულიარიზმი ისე შორს არის ამერიკის, კანადის, ავსტრალიის და შვეიცარიის კანტონალურ თვითმოქმედების მოძრაობისაგან, როგორც საშუალო საუკუნოები არიან შორს ჩვენის დროისაგან, როგორც ძველი წესი ახალისაგან. ისპანიაში 1873 წლიდამ დაწყებული

სოციალისტური, კომუნისტური და ფედერალისტური მოძრაობა ხელი-ხელს ჩაკიდებულები იყვნენ. მონარქიის დაცემის (1873) და რესპუბლიკის აღიარების შემდეგ, ვალენსიას, სევილიასა, გრენადასა და სხვაგან კომუნისტებმა ანარქისტ-ფედერალისტულ მოძრაობას უდგნენ სათავეში. ეგ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ფეოდალური პარტიკულიარიზმი უნდა აღედგინათ ?? ისპანიის კონუნისტებსაც ფედერატიულ სოციალურ რესპუბლიკის დაარსება სწყუროდათ, მაშასადამე ისინიც ფეოდალები იყვნენ. ასე არა, ბ-ნო კრიტიკოსო ?

ყოველივე ეს საქმეს არ ეხება. სჯა-ბაასია საორგანიზაციო პრინციპის შესახებ, გვიპასუხებს ავტორი. დავანებოთ თავი სახელმწიფურ წყობილებას ; ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მუშათა პარტიების ფედერატიულ ორგანიზაციებისა. ფედერალიზმი ორგანიზაციებში იგივე ფეოდალიზმიაო. ფედერალიზმის შემოღება პარტიაში, მისს « გაფეოდალებას » მოასწავებს. იგი პარტიას « დაჩეხას » უქადისო. მაშ რატომ არის, რომ სოციალისტური პარტიები ნელ-ნელა ფედერალისტურ ორგანიზაციებისაკენ იწევენ ? ალბად ისტორიის შეფერხება ჰსურთ, ალბად ფეოდალურ პარტიკულიარიზმის ჟინით გაიმსჭვალნენ ! რუსეთში « ბუნდისტები » სოც.-დემოკრატები არიან, მაგრამ ფედერალიზმის დამცველებად გამოვიდნენ. პოლონეთის და ლიტვის ს.-დემოკრატებმა რ. ს.-დ. მ. პ. წევრებს მიწოდებით მიჰმართეს, სადაც გამოცხადებულია სურვილი, რომ რ. ს.-დ. პარტიამ ფედერატიული ორგანიზაცია მიიღოსო (1).

1897 წ. ავსტრიის ს.-დემოკრატიამ ფედერატიული პრინციპი შემოიღო თავის ორგანიზაციაში. ამის გამო პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენებაში სწერია : « 1887 წ. პარტეიტაგმა არც გააპო, არც გაამორა ის, რაც წინად ერთ მთელს შეადგენდა, მან მხოლოდ საერთო მოქმედებისათვის გააერთა ის, რაც წინად ერთი მეორის გვერდით დამოუკიდებლად ვითარდებოდა. « ე რ ო ვ ნ უ ლ ი  დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა  დ ა  ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი  კ ა ვ შ ი რ ი » — აი პრინციპი, რომელიც პარტეიტაგმა ახალ ორგანიზაციას საფუძვლად დაუდო... ავსტრიის ს.-დ. არასოდეს არ ყოფილა ისე გონივრულად გაერთიანებული, ისე გონივრულად სოლიდარიზმით გამსჭვალული როგორც დღეს (ლაგამ აშვებულ შოვინიზმის ხანაში), და არასოდეს არ ყოფილა იგი ისე როგორც დღესაა ტეხნიკურად შეიარაღებული და არასოდეს არ ასრულებდა ისე კარგად ტაქტიკურ მოვალეობას. ყოველივე ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ახალმა ორგანიზაციამ ყოველ ეროვნების პროლეტარიატს სრული საორგანიზაციო ავტონომია მიანიჭა... კმაყოფილებით და სიხარულით აღვიარებთ, რომ

(1) იხ. Къ вопросу о нац. автономіи. გვ. 17.

აღმასრულებელ საზოგადო კომიტეტის მოქმედების დროს მაგალითი არ ყოფილა, რომ რომელიმე ეროვნულ ჯგუფს სხვა ერთა ხმის უმეტესობის გადაწყვეტილება მოეხვევნოს თავზე და დღემდე ყველა სერიოზული კითხვები ერთხმად სწყდებოდნენო » (1). ასე არის საქმე ავსტრიაში. [illegible] ახლა საფრანგეთში. იქ ერთის დარგის და ხელობის მუშები შეჰქმნიან თუ არა ორგანიზაციას, იმწამსვე ფედერატიულად დაუკავშირდებიან ერთიერთმანერთს. სხვა და სხვა დარგის მუშების ორგანიზაციაც ფედერალისტურია: შრომის კონფედერაცია (confédération du travail), მაგ., ორ დიდ სოციალისტურ პარტიას (Parti Soc. Fr. და Parti Ouv. S. R. Fr.) თავიანთ ფარგალში ფედერალისტურ ნიადაგზედ აქვთ დაფუძნებული ორგანიზაციები (Unité fédérative და Union fédérative).

მოისმინეთ ახლა კომუნარების მანიფესტი 19 აპრილისა 1871 წლისა. ეს მანიფესტი ფედერალისტურ პრინციპით გამსჭვალული, განსაკუთრებით იმიტომ არის საყურადღებო, რომ დაწერილია « პროლეტარიატის დიქტატურის » მომხრეთა მიერ. « რას ითხოვს პარიზი ? ვკითხულობთ მანიფესტში. ჩვენს ქვეყანაში თვითეულ კომუნას სრული ავტონომია უნდა მიენიჭოს, პარიზის კომუნას სურს უფლება მიიპოვოს როგორც თავისთვის, ისე სხვა კომუნებისთვის თავისუფალ ფედერატიულ კავშირების შექმნისათვის. იგი თავისუფალი კავშირი გახდება საფრანგეთის ერთიანობის თავდებად. რაიც შეეხება ადმინისტრატიულ სამმართველო ცენტრალურ საფრანგეთის ორგანოს, კომუნას სურს, რომ იგი უნდა იყოს შემდგარი თავისუფალ დელეგატებისაგან ფედერატიულად დაკავშირებულ კომუნებისა (2).

ყველა ეს ნაღდი, აშკარაა, ფეოდალიზმის აღდგენას და პროლეტარიატის « დაჩეხვას » და « გაფეოდალებას » ჰლამობდა ! კომუნარებს კიდევ ჯანი გაჰქვარდეთ, მათ « სამეცნიერო სოციალიზმისა » არა ესმოდათ რა, თქვენ ისა ბძანეთ, ავსტრიელებს რა ღმერთი გაუწყრათ, ესენი ხომ მარქსის სკოლაში არიან აღზრდილნი და მაინც საშუალო საუკუნის პარტიკულიარიზმს დაუბრუნდნენ. ძალნო ცისანო, ნუ თუ არ გადაარჩენთ ავსტრიელ პარტიას « ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხვისაგან », ნუ თუ ისევ უნდა აშენდეს მთაგორებზე « კოშკები », საიდამაც სოციალ-დემოკრატი რაინდები (ჰოი სირცხვილო!) იფარფაშებენ და გზაზე გამვლელ-გამომვლელს შეაწუხებენ !

(1) Къ вопросу о нац. автономіи и преобразованіи рос. с.-дем. партіи на федератив. началахъ. Стр. 17. Изд.-Всеоб. Евр. раб. Союза.

(2) Парижская кимуна. Изд. газ. « Работникъ ». 1874. Женева. Стр. 104 — 107.

## 4.

ასე და ამგვარად ირცხვენს თავს ჩვენი კრიტიკოსმა «საქართველო»'ში დაბეჭდილ ყველაფრის დაწუნება იკისრა, იმიტომ კი არა რომ ჭეშმარიტების ძიებაში ყოფილიყოს, არამედ რადგან განრისხებული სიბოროტე ალაპარაკებდა და ამასობაში თავისხელითვე გაბმულ უმეცრების ბადეში გაიხლართა. და რა შედეგი მოჰყვა ამ გარემოებას. ქვემოდ დავინახავთ.

« საქართველოს » თეორიული პროგრამა ჯერ არ გამოუცხადებია. დღემდე საპროგრამო კითხვების განმარტებას ვცდილობდით. რასაც ერთ წერილში ოდნავ ვეხებოდით, მეორეში უფრო ვრცლად ვარკვევდით. « საქართველოს » მეთორმეტე ნომერში თავი ერთად მოვუყარეთ ჩვენმიერ წამოყენებულ აზრებს და ვეცადეთ დაგვენახვებინა მკითხველისათვის, რანაირად და რა ხაზით ვითარდებოდა ჩვენს წერილებში ერთი აზრი მეორისაგან, რანაირად ყოველივე ჩვენ მიერ ნათქვამი ერთის სისტემით არის გაერთიანებული. აი მაგ., თავიდამ აღვიარეთ, რომ დემოკრატიულ ავტონომიის მომხრენი ვართ. მაშასადამე წერილებში უნდა დაგვენახვებინა, თუ რა არის დემოკრატიული რეჟიმი, რის განხორციელება შეუძლია მას ? ეს ერთი. მეორეს მხრივ, ცხოვრებაში არსებულმა კლასთა ბრძოლამ, ეკონომიურ ურთიერთობის წინააღმდეგობამ მიაპყრო ჩვენი ყურადღება, ამ საგანმა წამოაყენა კითხვა : შესაძლებელია თუ არა წოდებათა შორის თანამშრომლობა ეროვნულ კულტურის დაცვისათვის ? — მეორეს მხრივ, დემოკრატიულ რეჟიმის განხორციელება ხპობს თუ არა კლასთა შორის არსებულ ანტაგონიზმს ? თუ არა ხპობს, რა ნაირი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა ეკონომიურ სამართლიანობის, სოციალურ წინააღმდეგობის მოსპობის საქმეში ? აქედამ სოციალიზმის აუცილებლობა და სოციალისტურ პროპაგანდის საჭიროება. აი მოკლედ სქემა ჩვენის პოლიტიკო-ეკონომიურის სისტემისა.

ხოლო, რათა უფრო ნათელი ვყოთ იგი, გადავავლოთ თვალი ერთ რომელიმე ჩვენმიერ წამოყენებულ სოციალურ კითხვას,ვსთქვათ გლეხთა მდგომარეობის კითხვას, და ვნახოთ, ამ საგნის გათვალისწინების დროს რა ლოღიკურ მსვლელობას ემორჩილება ჩვენი მსჯელობა. ჩვენ ვწერდით : «თვითმმართველობა საშუალებას მოგვცემს რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა : საჭიროა მოვსპოთ ჩვენს ცხოვრებაში ბატონყმობის ნაშთი » და სხვ. (№ 2). მაგრამ ბატონყმობის ნაშთის მოსპობა არ ნიშნავს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას. ამიტომ შემდეგ წერილებში ისევ დავუბრუნდით ამ საგანს და ვამბობ-

დით: « ჩვენში არსებული კლასთა ბრძოლა უნდა დამთავრდეს ეკონომიურ სამართლიანობის დამყარებით და კლასთა გაუქმებით. კლასთა გაუქმება არის მოსპობა იმ [illegible] მიზეზისა, რომელიც ჰბადავს ეკონომიურ უთანხმოე[illegible] ძირითადი მიზეზი საწარმოვო იარაღია. კაპიტალი, ქარხანა თავის მოწყობილობით და მიწა. ამ ჟამად საწარმოვო იარაღი უმცირესობის ხელშია. საჭიროა, რომ იგი ყველასი იყოს. და ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენშიაც კერძო საკუთრებას ჯერ-ჯერობით იმგვარივე ხასიათი მიეცეს, რა ხასიათიც აქვს მას ევროპაში, რადგან ჩვენში ბევრი გლეხი და ყველა ხიზანი ჯერ კიდევ მესაკუთრედ არ ითვლება... ყველა გლეხი... უნდა გახდეს კერძო მესაკუთრედ. ამისათვის ბოლო უნდა მოეღოს ბატონყმობის დროიდამ დარჩენილ წესებს. ჩვენ უნდა ხელი შევუწყოთ ფეოდალურ წეს-წყობილების აღმოფხვრას. გარდა ამისა, რაკი ცხოვრების მსვლელობა მიმართულია ბატონყმურ ნარჩენის გაუქმებისაკენ, მუშახალხს ხელში უნდა ჰქონდეს იარაღი ეკონომიურ ახალ (კაპიტალისტურ) პირობებთან საბრძოლველად » (№ 7). რანაირი ხასიათის იარაღია ის იარაღი, რომელიც გლეხმა უნდა იხმაროს ბურჟუაზულ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად ? ჩვენ გვსურს მივიდეთ ხალხთან და გამოვესარჩლოთ მას დღესვე, როგორც მშრომელ, გაჭირვებაში ჩავარდნილ წვრილ მესაკუთრეს, ვამბობდით ჩვენ. ხოლო ჩვენი განზრახვა ის კი არ არის, რომ ამ ხალხს მესაკუთრეობის ჟინი და სურვილი განვუმტკიცოთ, არამედ დავანახვოთ სხვა უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმა წარმოებისა და მოვამზადოთ იგი კოოპერაციებისა, სასოფლო სამეურნეო სინდიკატებისა და დამხმარებელ საზოგადოებათა დაარსების საშუალებით კომუნისტურ წარმოებისათვის » (№ 10). ამრიგად კოოპერაცია და სინდიკატი — აი ის იარაღი, რომლის დანიშნულებაა დარღვევა კერძო საკუთრებაზე აშენებულ წარმოებისა. კოოპერაციამ და სინდიკატმა უნდა მოამზადონ გლეხი წარმოების გასაზოგადოებრივობისათვის. კი მაგრამ, წარმოების გასაზოგადოებრივება შეუძლებელია, სანამ მიწა არ შეიქმნება საერთო კუთვნილებად, სანამ არ მოისპობა კერძო საკუთრების უფლება. ამიტომაც იყო, რომ « საქართველოს » წარმომადგენლებმა შეიტანეს ქართველ რევოლუციონერთა კონგრესის კრების საყურადღებოდ წინადადება მიწის სოციალიზაციის შესახებ. და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ რედაქციამ შემდეგ რეზოლუცია შეიტანა ხსენებულ კონგრესის კრებაზედ, რეზოლუცია, რომელიც ერთხმივ იყო მიღებული :

„ აღვიარებთ რა, რომ საქართველოში ფეოდალურ წყობილების ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხალია (ქართლი), რომ ბურჟუაზული პირო-

ბებიც დამკვიდრდნენ (გურია), რომ ყოველივე ეს ეკონომიურ ცნობრების წინააღმდეგობას და კლასთა ბრძოლას ამწვავებს; რომ ამ წინააღმდეგობის და თვით კლასებრივ საზოგადოების მოსპობისათვის, — საჭიროა კერძო საკუთრების გაუქმება; განსაკუთრებით, რომ მიწის სოციალიზაცია (გასაზოგადოებრივება) და მასთან ერთად გლეხთა სინდიკატების, საწარმოვო კოოპერაციათა და სხვა კავშირთა შემოღება არის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი სრულ ეკონომიურ თანასწორობისა და სამართლიანობის განხორციელებისათვის" (დამატება № 1).

ასეთი იყო ლოღიკური მსვლელობა ჩვენის აზრისა გლეხთა კითხვის გადაწყვეტის დროს. ვისაც ჩვენის აზრის დაფასება სურდა, ამ გარემოებისათვის უნდა მიექცია ყურადღება. ვინც არ ხედავს, რომ ჩვენ ინდუქტიურ მეთოდით, ცხოვრების შესწავლის და ლოღიკის აუცილებელ დასკვნის საშუალებით ბატონყმურ ნაშთთა გაუქმების საჭიროებიდამ მიწის სოციალიზაციის აუცილებლობამდე მივედით, ვინც ამას არ ხედავს ჩვენს ნაწერებში, იგი ან დაბრმავებულია ან განზრახ ამახინჯებს ჩვენს აზრს. ჩვენი მოკამათე ყოველ დღისმიებას ხმარობს, რომ როგორმე მიაფუჩეჩოს ეს გარემოება და რადგან აშკარა ფაქტის დამალვა შეუძლებელია, ამიტომ არწმუნებს ქართველ ხალხს, რაც «საქართველოს» ხალხის სასარგებლოდ დაუწერია, დაუწერია მისს მოსატყუებლად, და ამ განზრახვით გაზეთი არავითარ საზიზღარ საშუალებას არ ერიდებოდაო, ხან ვითომ სოციალისტობს, ხან ვითომ ჯაშუშ ზუბატოვის სისტემის მცველად გამოდისო.

## 5.

სოციალურ რევოლუციის განსახორციელებლად საჭიროა ხელშემწყობი ნიადაგი. ამგვარ ნიადაგად ყოველთვის მიგვაჩნდა დემოკრატული რეჟიმი. მაგრამ დემოკრატულ რეფორმებს არასოდეს არ ვსთვლიდით სოციალურ რეფორმების ნაწილად. დემოკრატული რეფორმები არასოდეს არ მიგვაჩნდა სოციალისტურ პროგრამის მინიმუმად. სოციალისტურ პროგრამის დაყოფა უმართებულოდ მიგვაჩნდა, რადგან სოციალიზმის, ე. ი. საერთო მფლობელობაზე დამყარებულ წარმოების განხორციელება ნაწილ-ნაწილ დემოკრატულ რეფორმების შემოღებით შეუძლებელია. სანამ კერძო საკუთრება და კერძო წარმოება არსებობს, სოციალიზმი ფეხს ვერ მოიკიდებს. ხოლო კერძო საკუთრების გაუქმება რევოლუციის საშუალებით მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც გინდ გადააკეთოთ კერძო საკუთრების რეჟიმი, რაც გინდ შეამციროთ მისი მოქმედების ფარგალი, საზოგადო წარმოების დაფუძნება მაინც განუხორციელებელი დარჩება. ს.-დემოკრატები კი სულ სხვა მეთოდს ხმარობენ. მათთვის დემოკრატულ რეფორმის დამყარება ის ხელშემწყობი ნიადაგი კი არ არის,

სადაც სოციალურ რევოლუციის მოძრაობა უნდა [illegible] და განხორციელდეს, დემოკრატიული წყობილება [illegible] თვით საშუალებაა სოციალიზმის დამყარებისათვის. [illegible] წიგნაკის ავტორიც ამოწმებს ამას: « სოციალისტური იდეალების დამყარება შეიძლება დემოკრატიულ წყობილობის [illegible] წყობით. ამიტომ ჩვენი პროგრამა განიყოფება ორ ნაწილად: მიზანი (პროგრამა მაქსიმუმი) და საშუალება (პროგრამა მინიმუმი) » (გვ. 4). როგორც ხედავთ დემოკრატიზმსა და სოციალიზმს შუა, ს.-დემოკრატთა შეხედულობით, პრინციპიალური წინააღმდეგობა არ არის. დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთის კატეგორიის მოვლენაა. დემოკრატიზმი « მხოლოდ მთელი ამ პროცესის ერთი რგოლია », როგორც გვიხსნის ავტორი (გვ. 6). და ამიტომაც არის, რომ თავიანთი დემოკრატიული პროგრამა სოციალიზმის მინიმუმად დასახეს; ამიტომაც არის, რომ სოციალიზმიც ძირიანფესვიანად ამოაგდეს, რადგან ბურჟუაზულ რეჟიმის დამყარებისათვის მსხვერპლად შესწირეს! და აი როდესაც ჩვენ ვწერდით, « სოციალიზმის განსახორციელებლად ბევრი დროა საჭირო, დღევანდელ პირობებში საბოლოვო მიზანს სამოქმედო პროგრამად ვერ გავიხდით, დღეს ჩვენ იმითი უნდა ვიხელმძღვანელოთ, რაც დღესვე განხორციელდება, ამიტომ ჩვენი მოთხოვნანი უნდა შევახამოთ დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებსო (№ 7); როდესაც ამას ვამბობდით, ჩვენ გვქონდა მხედველობაში დემოკრატიულ წყობილების დამყარების საჭიროება. ხოლო ამით ის კი არ უნდა გვეთქო, ვითომ იგი წყობილება სოციალიზმის განსახორციელებელ საშუალებად გახდება. და თუმცა ასეა, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ვცდებოდით, როცა ვამბობდით, საბოლოვო მიზანს სამოქმედო პროგრამად ვერ გავიხდით თქო. დიაღ, ვცდებოდით, რადგან დაფიქრებამ და ცხოვრებამ გვასწავლა, რომ საბოლოვო მიზანი განუხორციელებელი დარჩება, თუ დ ღ ე ს ვ ე, პრაქტიკულ მოქმედებაში, იგი ლამპრად არ გავიძღოლიეთ. კომუნისტ-რევოლუციონერებს სრული უფლება აქვთ გვისაყვედურონ, ამ სიტყვებით სოციალიზმს ღალატობთო! მაგრამ ამგვარ საყვედურის თქმის უფლება ს.-დემოკრატს არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს! ჩვენი მოკამათე კი არაფერს ერიდება და გვეუბნება კიდევაც ამ საყვედურს, თითქოს თვალით არ ენახოს ს.-დემოკრატიული პროგრამა, სადაც სხვათა შორის სწერია: « სხვა და სხვა ქვეყნების ს.-დემოკრატები საბოლოვო მიზნის (სოციალიზმის) განხორციელებამდე... იძულებულნი არიან სხვა და სხვა, ახლავე განსახორციელებელი მიზანნი წამოაყენონ, ეგ იმიტომ, რომ კაპიტალისტური წყობილება ყველგან ერთნაირად არ არის განვითარებული და აგრეთვე იმიტომ, რომ კაპიტალისტურ წყობილების განვი-

EC 6839
F 757/3

თარება სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა სოციალ-პოლიტიკურ ნიადაგზე სწარმოებსო » (1). განა სასაცილო არაა, ამ აღსარების შემდეგ საყვედურს გვეუბნებოდეს ს.-დემოკრატიას, რომელსაც არც ჟურნალ « ზარია »-ს რედაქცია მოსდევს : « თანამედროვე სამეცნიერო სოციალიზმის მოთხოვნილებათა მიხედვით, სრულიად უსაფუძვლოა სჯა-ბაასი იმის შესახებ, ვითომ მახლობელი მიზანი სარევოლუციო მოძრაობისა რუსეთში სოციალისტური მიზანი უნდა იყოსო » (2). რანაირია მახლობელი მიზანი რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიისა ? პოლიტიკურ კითხვათა ფარგალში — ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და დამყარება ბ უ რ ჟ უ ა ზ უ ლ რესპუბლიკისა (საფრანგეთის ტიპისა); სოციალურ კითხვათა ფარგალში — ეგრედ წოდებულ მუშათა ბ უ რ ჟ უ ა ზ უ ლ კანონმდებლობის შემოღებაა. პროგრამის ამ ნაწილში 16 მუხლია ჩამოთვლილი ამ ხასიათისა : 8 საათის სამუშაო დღე, მუშაობის აღკრძალვა საღამოს 9 საათიდამ დილის 6 საათამდე, ბავშვების მუშაობის აღკრძალვა 16 წლამდე და ქალების მფარველობა განსაზღვრულ პირობებში, მუშათა სახელმწიფო დაზღვევა, სამუშაო ბირჟის დაარსება და სხვ. აგრარულ კითხვათა ფარგალში, პარტიას ჰსურს, ბატონყმობის ნაშთების გაუქმება (**отмѣна выкупныхъ и оброчныхъ платежей**), გაუქმება კანონებისა, რომელნიც ხელს უშლიან გლეხს თავისუფლად მოიხმაროს თავისი მიწა, გლეხებს უნდა დაუბრუნდესთ ფული, « ნადელების » გამოსასყიდავად რომ გამოიღეს. უნდა დაუბრუნდესთ აგრეთვე ის მიწები, რომელნიც წაერთვათ განთავისუფლების დროს. კავკასიაში დრობით ვალდებულ გლეხთ და ხიზანთ უნდა მიეცესთ მიწა, რომლითაც ეხლა სარგებლობენ, ურალსა, ალტაისა და დასავლეთ ქვეყნებში უნდა ბოლო მოეღოს ბატონყმურ წესებს და სასამართლოს მიეცეს საიჯარო ფასების კონტროლის უფლება (3).

ხოლო პროგრამის ბოლოში ვკითხულობთ : « სრულიად რუსეთის ს.-დემ. მუშათა პარტია ამ მახლობელ მიზანთა განხორციელებისაკენ მიისწრაფვის და ამიტომ ხელს აძლევს ყოველ ოპოზიციურ და რევოლუციონურ მოძრაობას, რომელსაც კი აზრად აქვს, ებრძოლოს რუსეთში არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილებას ».

როგორც ხედავთ, რუსეთის ს.-დ. პარტია თავისს « სო-

(1) Программа Р. С. Д. Р. П., стр. 10.

(2) Съ точки зрѣнія современнаго научнаго соціализма, всякіе толки о соціалистическомъ переворотѣ, какъ о ближайшей цѣли революціоннаго движенія въ Россіи представляются вполнѣ и безусловно неосновательными. « Заря » № 2 — 3, стр. 24.

(3) იხ. აქვე გვ. 13, 14 და 15.

ციალისტურ » პროგრამაში სრულიად არ ახსენებს სოციალიზმს და უახლოესს მიზანთა განხორციელებისა ე. ი. მუშათა მფარველ კანონმდებლობის შემოღებისათვის აქვს მიპყრობილი ყურადღება. მიუხედავად ამისა ჩვენი ოპონენტი კიჟინასა სცემს იმის გამო, რომ ჩვენ ვითომდა სოციალიზმი დავმალეთ და დროის შესაფერ მოთხოვნათ ვემსახურებით. ამგვარ საყვედურის თქმის უფლება, ვიმეორებთ, ს.-დემოკრატს არა აქვს და რომ შეადაროთ « საქართველოში » აღიარებული « დემოკრატული მოსაზრებანი », « სოციალისტურ » პროგრამას რუსეთის პარტიისას, მათ შორის არამცთუ პრინციპიალურ განსხვავებას ვერ ჰპოვებთ, არამედ აღმოაჩენთ, რომ ზოგიერთ კითხვაში ჩვენ გაცილებით მეტს ვითხოვთ.

როდესაც ჩვენ ვწერდით : « მოისპოს სავალდებულო დამოკიდებულებანი გლეხთა და მემამულეთა შორის, გლეხები და, მათ შორის, ხიზნებიც აღიარებულ იქმნენ კერძო მესაკუთრეებად », ამითი უნდა გვეთქო, რომ დროებით ვალდებული გლეხი და ხიზანი უნდა გახდეს მესაკუთრედ იმ მიწისა, რომლითაც იგი დღეს მხოლოდ სარგებლობს და ამისათვის მემამულეს არაფერი არ უნდა უზღოს. ჩვენ მიწის ექსპროპრიაცია გვქონდა სახეში წვრილ მიწათმოქმედთა სასარგებლოდ. და იცით რა გამოიყვანა აქედამ ჩვენმა მოკამათემ ? ყური დაუგდეთ : « ვის არ სურს « სავალდებულო დამოკიდებულობის » მოსპობა ? ამბობს იგი. მთავრობა რამდენი ხანია ეხმარება გლეხს ფულის სესხებით. ან კიდევ ვინ აუკრძალა რომელიმე გლეხს კერძო საკუთრება შეიძინოს და მესაკუთრედ გახდესო » ? (გვ. 27) ხერხი ურიგო არარის, როგორც ხედავთ. ჩვენ მიწის ექსპროპრიაციის შესახებ გვაქვს საუბარი, კრიტიკოსის განმარტებით კი, ვითომ ჩვენ მხოლოდ კერძო საკუთრების უ ფ ლ ე ბ ი ს მოპოვებისათვის ვირჯებით. განა ეს სასაცილო არ არის ? ვინ არ იცის, რომ იმისთანა დესპოტურ ქვეყანაშიაც კი, როგორიცაა რუსეთი, მიწის შეძენის ი უ რ ი დ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა ყველას აქვს მინიჭებული. და ეხლა ჩვენი მოკამათე ცდილობს იმის დამტკიცებას, ვითომ « საქართველოს » მისწრაფება უკვე ა რ ს ე ბ უ ლ უ ფ ლ ე ბ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ი ს ა კ ე ნ იყოს მიმართული !! ასეთი დამახინჯება ჩვენის აზრისა მოკამათესათვის საჭირო იყო. რადგან რუსეთის პარტიის « სოციალისტურ » პროგრამაშიაც არის ამგვარივე მუხლი — **передать въ собственность крестьянъ на Кавказѣ тѣ земли, которыми они пользуются какъ временно-обязанные хизаны и пр.** და აბა განა შესაწყნარებელია, რომ « საქართველო » ამასვე ამბობდეს ? არა, იგი მიწის შეძენის უფლებას ჰგულისხმობს და ამრიგად ქარის წისქვილებს ეომება და უკვე ღია კარებს აწვება !

ყველამ იცის, რომ ღალა, « დრამის » ფული, სხვა და

სხვა სასოფლო გადასახადი, რომელშიაც მემამულენი არ იღებენ მონაწილეობას, ბატონყმობის დროიდამ დარჩენილი წესებია. ყველასათვის აშკარაა, რომ გლეხთა [illegible] « სავალდებულო დამოკიდებულებათა » მოსპობასთან [illegible] გლეხთა ორგანიზაციების განმტკიცებასა და კერძო მესაკუთრეობის დემოკრატიულ რეჟიმის დამყარებისთანავე ამ დარჩენილ წესებსაც ბოლო მოეღება. ჩვენც სწორედ ეს გვქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდით, რომ ზემოდაღნიშნულ რეფორმას, ე. ი. გლეხთა და მემამულეთა შორის « სავალდებულო დამოკიდებულების » მოსპობის და დემოკრატიულ რეფორმების შემოღების შემდეგ, ძალას მოეღება ბოლო, სასოფლო ხარჯები თანაბრად განაწილდება, დრამის ფულის აკრეფაც გაუქმდება თქო. მაგრამ ჩვენი ავტორი გამარჯვების კილოთი გვეუბნება : « საკვირველ არს « საქართველოვ » საქმენი შენნი ! გურიაში არ არსებობს « სავალდებულო დამოკიდებულებანი », არც ზიზნებია, მარა არც ერთი აქ ჩამოთვლილი რეფორმა არ « მოჭყოლია » ამ გარემოებასო ». რატომ არ მოჭყოლია ? აშკარაა, იმიტომ რომ არც გურიაში გაუქმებულა ჯერ კიდევ ძველი წესი, არც გურიაშია გამტკიცებულა დემოკრატიული ნიადაგი ! აბა მიეცით გლეხს სამყოფი მიწა, მიანიჭეთ ორგანიზაციების შექმნის და თავის ინტერესების დაცვის უფლება, ვნახოთ, მოისპობა თუ არა დრამისა და სხვა ამგვარი გადასახადი ! ჩვენის მოკამათის საკვირველნი დასკვნანი იმითი აიხსნება, რომ იგი კერძო წერილის გარჩევის დროსაც მისს საზოგადო მიმართულებას და დედააზრს კი არ უგდებს ყურს, არამედ წერილის ცალკე ადგილებს, ცალკე წინადადებებს. მოაბამს ხოლმე ბაწარს რომელისამე ფრაზას, გადააბამს ამ ბაწარს მეორე ფრაზას და ამ ნაირად ცდილობს წინააღმდეგობის აღმოჩენას. საბრალო მეთოდი საბრალო მწერლისა !

მაგრამ პოლემიკურ უკეთესს ნიმუშებსაც შევხვდებით ქვემოდ. აი ერთი მრავალთაგანი. ჩვენ ვწერდით : « მიენიჭოს ყოველის დარგის და პროფესიის მუშას თავისუფალ მოქმედების და *ბრძოლის* უფლება, ე. ი. დაკანონდეს *გლეხთა* და მუშათა *ორგანიზაციები*, რომელთაც მიზნად ექნებათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება ». საჭიროა მიეცეს ხელში მუშებს ბრძოლის იმგვარივე იარაღი, რა იარაღიც დღეს დასავლეთ ევროპის მუშებს აქვსთ მინიჭებული. მართალია, ის იარაღი, რომელსაც ევროპის დემოკრატიული რეჟიმი აძლევს ხელში ევროპიელ მუშას, ძირიანად ვერ შესცვლის მუშის მდგომარეობას — ამგვარ ცვლილებას მხოლოდ სოციალური რევოლუცია მოახდენს — მაგრამ დემოკრატიულ პირობებში შესაძლებელ რეფორმებს კი განახორციელებს. მართლაც, როდესაც კანონი მისცემს ჩვენს მუშას

ბრძოლის უფლებას, იგი განახორციელებს იმას, რაც დღეს უკვე განხორციელებულია ევროპაში, ან კიდევ ახლო მომავალში იქმნება განხორციელებული : ე. ი. 8 საათის სამუშაო დღის დაწესება, მოხუცებულ მუშათათვის პენსიის მიცემა, მფარველობა მცირეწლოვანთა და ქალთა მუშაობისა, გაფიცვის დაკანონება, სავალდებულო სამედიატორო სამართალი მუშებისა და პატრონის წარმომადგენელებისაგან შემდგარი და სხვა და სხვა.

ჩვენს მოკამათეს დაავიწყდა, რომ « სოციალისტური » პროგრამა რ. ს.-დ. პარტიისა ამ დემოკრატულ მოთხოვნათა იქით არ მიდის. რაკი ჩვენი დამცირებაღა ახსოვდა, ის აზრი გამოსთქვა, რომ « თავისუფალ მოქმედების და ბრძოლის უფლება (რომელზედაც ჩვენ გვქონდა ბაასი) პროფესიონალურ ორგანიზაციების თავისუფლებას ნიშნავსო, რის მოციქული კაი ხანია ზუბატოვი და მისი კომპანიაცააო ». ამნაირად ჩვენთან ერთად თავისი თავი და მთელი თავისი პარტიაც ჩვენმა გულფიცხმა კრიტიკოსმა ზუბატოვის ამხანაგებად ჩარიცხა ! ხოლო ზუბატოვის ე. ი. ცნობილ ჯაშუშის გახსენებამ ისეთი ბოროტი სიამოვნება აღუძრა გულში ჩვენს ავტორს, რომ მან ერთის ნაბიჯის შემდეგ კიდევ ერთხელ გვანუგეშა, ფიქრი ნურაფრის გაქვთ, « თქვენს გვერდში დგანან ნიკოლოზ-პლევე-ზუბატოვი, რომელთა დღესვე განსახორციელებელი პროგრამა « საქართველოს მიუთვისებიაო » (გვ. 29).

6.

არის კიდევ ერთი საგანი, რომლის წინააღმდეგ რუს-ს.-დემოკრატს ხმის ამოღება არ შეუძლია ; არ შეუძლია, რადგან ამ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება უარჰყოს თავისის პარტიის ძირითადი მოთხოვნილებანი. მხედველობაში გვაქვს სხვა და სხვა კლასთა წარმომადგენელთა შორის თანამშრომლობა პოლიტიკურ ბრძოლის განსაზღვრულ მომენტის დროს. რ. ს.-დემოკრატიის « სოციალისტურ » პროგრამის მინიმუმი თავიდამ ბოლომდე ბურჟუაზულ ხასიათისაა. მას თვითმპყრობელობის დამხობა ჰსურს და მუშათა მფარველ კანონების შემოღება. ამ პროგრამის წინააღმდეგ არაფერი ეთქმისთ არც ერთ ნამდვილ ლიბერალს და რადიკალს. რ. ს.-დ. პარტიას ეს კარგად ესმის, ამიტომ იგი ყოველთვის იყო და არის მომხრე დაკავშირებისა ბურჟუაზულ მოწინავე ფრაქციებთან. პარტიის მეორე კონგრესზედაც ამ « დაკავშირების » და « დათმობის » პოლიტიკას ოფიციალური სანქცია მიეცა. პროგრამის ბოლოში ვკითხულობთ : « სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატია უახლოესს მიზნის განხორციელების გაადვილებისათვის, ხელს უწყობს ყო-

ველგვარ საოპოზიციო და სარევოლუციო მოძრაობას, რომელსაც მიზნად აქვს რუსეთში არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წეს-წყობილების დანგრევა » (გვ. 15). ამავე საგანს ორი რეზოლუცია ეხება. პირველი, სტოკჰოლმის, რომელიც გვეუბნება, რომ რ. ს.-დ. პარტია. « თავის ცენტრალურ ორგანოების საშუალებით მზად არის ეხლა ან, როცა საჭირო იქმნება, მომავალში, დროებით დაეკავშიროს ლიბერალურ ან ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიებსაო »... მეორე რეზოლუცია პლეხანოვისაა: « ... სოც.-დემოკრატიამ ბურჟუაზიას უნდა ხელი გაუწყოს, რამდენადაც იგი არამცთუ სარევოლუციო, არამედ მარტო საოპოზიციო ხასიათს იჩენს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამისათვის ს.-დემოკრატიამ უნდა სიხარულით მიეგებოს რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკურ თვითშემეცნების გამოფხიზლებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მან უნდა აუხსნას პროლეტარიატს, რა ნაკლულევანება აქვს ბურჟუაზიულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას »... და სხვა.

ამრიგად სოციალ-დემოკრატები ეკავშირებიან მშვიდობიან ლიბერალებს « და სიხარულით ეგებებიან ბურჟუაზიის გამოფხიზლებას ». და აი ახლა, ასე გასინჯეთ, ბურჟუაზიულ რეფორმებისა არ იყოს, ჩვენს მოკამათეს ეს გარემოებაც დავიწყებია და « საქართველოს » უსაყვედურებს — « დაკავშირების » და « დათმობის » თეორიას ჰქადაგებსო! რომ გვექადაგნა კიდევაც ამგვარი პოლიტიკა, ს.-დემოკრატმა ხმა უნდა გაკმინდოს და თავისთვის ჩუმად იყოს, რადგან, როგორც უკვე ვსქვით, თავის თეორიების და პოზიციის წყალობით იგი იძულებულია ხელი გაუწყოს არამც თუ რევოლუციონურ ბურჟუაზიას, არამედ ოპოზიციონურსაც. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არასოდეს, ხმა-კრინტიც არ ამოგვიდია კლასთა და წოდებათა შორის დაკავშირების საჭიროების შესახებ. როდესაც ჩვენ ამ საგნის შესახებ გვქონდა სჯა-ბაასი, მხოლოდ კერძო პირების დაკავშირება გვქონდა მხედველობაში და არასოდეს კლასი ან წოდება საერთოდ აღებული არ გვიხსენებია. ჩვენი მოკამათე კი ჯიუტობს და ამბობს, « საქართველო » « იწვევს ყველა წოდებას და კლასს, აზნაურს, თავადს, ერს, ბერს, ნასწავლს და უსწავლელს შეერთდნენ და ერთის დროშის ქვეშ დადგნენო »... მისი მოწოდებაა « საერთო მოქმედების ნიადაგი » მონახოს და თხა და მგელი ერთ ფარგალში მოამწყვდიოსო » (გვ. 20). მართალია, თავადებს, მღვდლებს, ინტელიგენციას და სტუდენტობას მივმართეთ მოწოდებით (« საქ. » № 4). ჩვენ გვინდოდა წაგვექეზებინა, გაგვემხნევებინა კერძო პირები, რომელნიც თუმცა სოციალურად ბურჟუაზიას და თავადაზნაურობას ეკუთვნიან, ხოლო აზრით და გულით კლასებ-

რივ ინტერესებზე მაღლა სდგანან. ამგვარი პირები არა მუშათა წრეებში არსებობენ. მაგრამ, ჩვენ მაშინვე ავხსენით, რა მოვალეობა აქვსთ ამ პირთ და რა პირობით შეუძლიათ ხალხს სამსახური გაუწიონ. ამის შესახებ ვწერდით: « ჩვენ არ ვიწვევთ საქართველოს ყველა წოდების და კლასების შეთანხმებულ და გაერთიანებულ მოქმედებას. ამგვარი შეთანხმება შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ იმათი შეთანხმების იმედი გვაქვს, ვინც უარს ჰყოფს წოდებრივს და ბურჟუაზულ-კლასებრივს მოქმედების ნიადაგს და ვინც თავის ჭკუას, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის, განთავისუფლების საქმეს მოახმარებს ». ეს სიტყვები მეთორმეტე ნომერში გავიმეორეთ. და ეხლა კიდევ ვიმეორებთ. ხოლო თუ სიტყვას საზოგადოდ რაიმე აზრი და მნიშვნელობა აქვს, ამ ჩვენ სიტყვებსაც ის აზრი ჰქონდა, რომ ჩვენ უარვყოფთ იმას, რასაც რუსეთის ს.-დემოკრატია იწყნარებს — უარ ვყოფთ დაკავშირებას ბურჟუაზულ პარტიებთან და მისებრ სიხარულს არ ვაცხადებთ ამ პარტიების გამოფხიზლების გამო. მართალია, ე რ თ  რ ა ზ მ ი ს შესახებ გვაქვს ბაასი, მაგრამ ამ რაზმის წევრნი არა მარტო წარმავალ, დროებით საჭიროებით არიან დაკავშირებულნი, არამედ ერთ საბოლოვო მიზანს, « ხალხის განთავისუფლების საქმეს » ემსახურებიან. ამ რაზმში შეიძლება ბურჟუაზულ წრეებიდამაც შემოვიდნენ ზოგიერთნი, ხოლო ისინი შემოვლენ არა როგორც ბურჟუაზულ კლასის მომხრენი, არამედ როგორც ხალხის დამცველნი. ჩვენ მხოლოდ ეს გვქონდა მხედველობაში, რადგან წინაადმდეგნი ვართ შეუფერებელ ალიანსებისა (შეკავშირებისა).

მაგრამ აზირებული კრიტიკოსი მაინც თავისას არ იშლის. სოციალიზმის უმაღლესი სამსჯავრო დაუწესებია და რევიზიას გვიკეთებს. სადა საბუთი შემოაკლდება, იქ ფაქტებს ამახინჯებს, სადა ფაქტების დამახინჯებასაც არ ჰკმაროფს, ცილსა გვწამებს. ჩვენი ტაქტიკა თურმე ამნაირია. ჩვენ ვამშვიდებთ გაბატონებულ კლასებს, იმედს ნუ ჰკარგავთ, ცოტაოდენი დაუთმეთ მუშებს და გლეხებს. ხალხს მოინადირებთ, თქვენს ხელში იქმნება და მერე თქვენ იცით, შებოჭეთ ისე, რომ სული ამოსძვრესო. აი ავტორის სიტყვები: « კლასთა ბრძოლას ბოლოს მოუღებენ თვით გაბატონებული კლასები, თუ მოინდომებენო, ხოლო საჭიროა ცოტაოდენი « ხალხს დაუთმონ », პროგრამა მინიმუმი დაუკმაყოფილონ, ხოლო პროგრამა მაქსიმუმი (სოციალიზმი) მუშათა მეხსიერებიდამ გაქრება და კლასებიც მორიგდებიანო. მდაბიურად რომ ვსთქვათ, მუშათა პარტიის « საქმე ერთი ლუკმა პურია — გადაუგდებ, გაჩუმდება მერია »'ო! შეადარეთ ახლა ყოველივე ეს იმას, რაც ჩვენა ვსთქვით კლასთა ბრძოლის

გამწვავებისა და ეროვნებისადმი სამსახურის შესახებ. « საქართველოში არ არსებობს კლასთა ბრძოლა და წინააღმდეგობაო. რა არის მაშ მუშათა მოძრაობა ? იქნება შეკითხოთ, მუშები ქუჩაში დროშით სასეირნოდ დადიან ? რა არის მუდმივი, განუწყვეტელი ღელვა, უკმაყოფილება, მუქარა ?.. ქართველ მუშის უკმაყოფილება, დღეს უცხოეთის და სომხის კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართული, არ დასცხრებოდა, არ შემსუბუქდებოდა, უცხოელ ბურჟუაზიის ადგილი რომ ქართველ ბურჟუაზიას სჭეროდა, ბურჟუაზია, რა ეროვნებისაც გნებავთ, ყოველთვის იძულებულია დაიცვას თავისი ინტერესი და მუშა ხალხი, თუ კი იგი გაჭირვებაშია, არასოდეს არ მოერიდება ეროვნულ ბურჟუაზიას ». აღვიარებთ რა კლასთა ბრძოლის აუცილებლობას ჩვენში, ბაასს ვაგრძელებთ ჩვენებურ პატრიოტების შესახებ. სამშობლო ხომ ყველას აკერია პირზე ჩვენში, ჩვენებურ პატრიოტებს ენა აქვთ გაცვეთილი სამშობლოს ხსენებით. ხოლო სამშობლოს თავადაზნაურობის და ინტელიგენციის იქით არ ხედავენ ჩვენი « პატრიოტები ». აი ამ პატრიოტებს ვეუბნებოდით : « თ.-აზნაურობა (მემამულენი), რომელსაც ეროვნების მცველად მოაქვს თავი, ეკავშირება იმ მთავრობას, რომელმაც გაანადგურა და ეხლაც ანადგურებს ჩვენს ეროვნებას... სოფელში, როგორც ქალაქში მექარხნემ, მემამულემ შესჩივლა მთავრობას და ჩაუყენა ხალხს ჯარის-კაცნი. გურიის თ.-აზნაურობის განჩინება მოიგონეთ. აწყურის თ.-აზნაურობის გადაწყვეტილებაც ნუ დაგავიწყდებათ » (nº 5). მაგრამ თუ ბურჟუაზულ და თ.-აზნაურულ წრეებში მოიპოვებიან იმგვარი პირნი, რომელთათვისაც « ეროვნება ზოგადი საგანი კი არ არის, არამედ თვით ხალხია, რეალურის მოთხოვნილებით და გაჭირვებით », ამ შემთხვევაში « მათ უნდა შესწირონ კერძო ინტერესები საერთო საქმეს ». იმ ხანაში, როდესაც ამას ვწერდით, საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეებში გლეხთა და მემამულეთა შორის უთანხმოება და შეტაკება ჴსუფევდა. გარემოება ისეთი იყო, რომ ვისაც მართლა შესტკიოდა გული ხალხისა და ეროვნებისათვის, შემთხვევა ჰქონდა გამოეჩინა თავისი მამულიშვილობა. ამიტომაც იყო, რომ ვწერდით : « მემამულეს, თუ კი მართლა გამსჭვალულია იგი საზოგადო ინტერესით, შეუძლია გლეხებს შეღავათი მისცეს — ღალა შეუმციროს, ტყითა და საძოვრით სარგებლობა გაუადვილოს, მიიღოს მონაწილეობა სოფლის ხარჯში... თუ ეროვნება ცარიელი სიტყვა არ არის, მისი კეთილშობილური და ბურჟუაზული მოტრფიალენი უწინარეს ყოვლისა წინაღუდგნენ მთავრობას და დაუთმონ ხალხს, რასაც ხალხი სთხოვს ». საზოგადო მოსაზრების გარდა აქ ჩვენ განსაზღვრული მოვლენაც გვქონდა მხედველობაში. დანამდვი-

ლებით ვიცით, რომ არეულობის დროს ზოგიერთი მემამულე მოწადინებული იყო შეეწყნარებინა გლეხთა მოთხოვნანი, მაგრამ მთავრობა წინაღუდგა ამ განზრახვას. ეს გარემოება გვახსოვდა, როდესაც « მამულიშვილობის » მოვალეობაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. მაგრამ ჩვენმა კრიტიკოსმა ის აზრი და ხასიათი მისცა ჩვენს წერილს, რა აზრი და ხასიათიც საჭირო იყო ყალბ პოლემიკისათვის : « საქართველო ეხვეწება გაბატონებულ კლასებს, « დაუთმეთ » ხალხსო, თუნდაც ეს თქვენთვის საზარალოც იყოსო » (გვ. 24) ნამდვილად კი ჩვენ არავის არაფერს არ ვეხვეწებოდით ; აღვნიშნეთ მხოლოდ « მამულიშვილობის დილემა » : ან ხალხის წინააღმდეგ (მაშასადამე ეროვნების წინააღმდეგ) ან ხალხთან ერთად'თქო. ხოლო რადგან ამ წინადადების პირველ ნაწილს მეტი მიმდევარი გამოუჩნდებოდა, მით უფრო ცხადად მტკიცდებოდა ჩვენს თვალში, კლასთა მოურიგებლობის აუცილებლობა.

კრიტიკოსი განაგრძობს : « ამ ფანტასტიურ პლანებში ისე მეტობა (გაზეთმა), რომ მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმსაც იხსენიებს, რომელიც თურმე ისე მდარე და ადვილად მისაღები ყოფილა, რომ ჯარის და მთავრობის ჩარევა სრულიად არ არის საჭიროვო, ე. ი. რესპუბლიკის დაარსებას, წოდებათა გათანასწორებას და სხვ. და სხვ. მთავრობა ადვილად შეიწყნარებსო. ერთი სიტყვით, ნიკოლოზ მეორე თავისით გადადგება ტახტიდამ, ჩვენი მემამულეები თავისით მისცემენ გლეხებს წართმეულ მიწებს (ხიზნებს, დროებით ვალდებულთ და სხვ.), დაუკლებენ ღალებს, მექარხნეები რვა საათის სამუშაო დღეს თავისით შემოიღებენ. არც ბრძოლაა საჭირო და არც წვალება. აი ასეთ « მილისპირს » ქადაგებს ეს ჩვენი მომრიგებელი მოსამართლე »'ო (გვ. 24). მოცლილ კაცის ამ მოცლილ სიტყვებს რომ დააკვირდეთ, სიცრუისა და გულუპრყვილო ფრაზების მეტს ვერას აღმოაჩენთ. მართალია, როცა ხალხის არეულობის დაუკმაყოფილებლობის შესახებ ვლაპარაკობდით, პროგრამის « მინიმუმსაც » შევეხეთ, ხოლო შევეხეთ ეკონომიურის და არა პოლიტიკურის მხრიდამ. არც რესპუბლიკა. არც მონარქიული კონსტიტუცია, არც სხვა რამ პოლიტიკური ფორმა ერთის სიტყვითაც არ გვიხსენებია. სწორედ რომ შეუწყნარებელია მწერლობაში ამგვარი ჩვეულება — ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ტყუილის აღიარება ! სამარცხვინოა თავისუფალ პრესის ამ ზომამდე აბუჩად აგდება ! ჩვენ ვქადაგებდით, რესპუბლიკა თავისთავად დაარსდება და ხალხს პოლიტიკური თავისუფლებაც ციდამ ჩამოუვარდება და მიენიჭებაო !

ნამდვილად კი ჩვენ ვამბობდით : « დღეს მუშათა და გლეხთა გაჭირვება ისეთი მწვავეა, ისეთი მარტივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას თხოულობენ ისინი, რომ მათი

სურვილი ადვილად შესაწყნარებელია. სამუშაო ფასის მომატება, შრომის დაკლება, გაფიცვის დაკანონება — განა ყოველი ეს მარტივი ელემენტალური მოთხოვნილე[illegible] ან კიდევ ღალის შემცირება, სურვილი რომ [illegible] მაც მიიღოს მონაწილეობა სასოფლო ხარჯში (ბეგარა, გზის და არხების გაყვანა, სოფ. სამმართველოს შენახვა და სხვ.), საბალახეს და საძოვრის განწესრიგება, — განა ყოველი ეს საშფოთო და საშუღლო საგანია ? თუ დააკვირდებით უთანხმოების ყოველ კერძო შემთხვევას, დაინახავთ, რომ დღეს არც მუშები, არც გლეხები რასმე შეუძლებელს გადამეტებულს არას თხოულობენ. მუშათა, პარტიის ეგრედ წოდებული « მინიმუმის პროგრამა » იმგვარია, რომ მისის დაკმაყოფილებისათვის ჯარის და მთავრობის ჩარევა სრულიად არ არის საჭირო ». დიაღ, ესა ვსთქვით ჩვენ ივლისში 1903 წელს და ივლისშივე 1904 წელს ვიმეორებთ ჩვენს აზრს. როგორც ხედავთ, აქ არც რესპუბლიკა გვიხსენებია, არც ტახტიდამ გადადგომა. აღვიარეთ მხოლოდ, რომ მუშა ხალხი გაჭირებაშია, გაჭირება დიდია, ხოლო შეგნება რადიკალურ ცვლილების მოხდენის საჭიროებისა მცირეა. დღეს მუშა ხალხი არაფერს იმისთანას არ ითხოვს, რის დაკმაყოფილებაც არ შეეძლოს ბურჟუაზულ საზოგადოებას. ეს ერთის მხრივ, როგორც ვსთქვით, გაჭირვებით აიხსნება, მეორეს მხრივ, ბრალი ედება ს.-დემოკრატულ პროპაგანდას, რომლის « სოციალისტური » პროგრამა მინიმუმისა წმინდა ბურჟუაზულ ხასიათისაა. ამ ბურჟუაზულ პროგრამის განხორციელებისათვის სრულიად არ არის საჭირო « ჯარის და მთავრობის ჩარევა ». რუსის მთავრობას შიშისაგან დავთრები აქვს დაკარგული და ამიტომ ყველგან ეჩრება, ყველას წინ ეღობება, ოღონდ კი ხელიდამ არ გაუსხლტეს უკმაყოფილო და დამშეული ხალხი. მაგრამ, რომ დააკვირდეთ, პროგრამის « მინიმუმის » განხორციელებისათვის სოციალურ ხასიათის დაბრკოლება არ არსებობს, რადგან იგი პროგრამა ძირს არ უთხრის კერძო საკუთრებასა და სოციალურ უსამართლობაზე დამყარებულ საზოგადოებას. აი ნამდვილი ხასიათი ჩვენის აზრისა, და კრიტიკოსი სოციალ-დემოკრატი უნდა ყოფილიყო, რომ გალაშქრებულიყო ამგვარ შეხედულობის წინააღმდეგ. ს.-დემოკრატს დაეკარგა საზომი, აღარ იცის, რა არის სოციალიზმი და რა არის ბურჟუაზულ წყობილების განმტკიცება. თავისი წმინდა ბურჟუაზული პროგრამა « კომუნიზმის » დამყარებისათვის საშუალებად მიაჩნია. და როდესაც ეუბნებიან, საქმეს ნუ აზვიადებთ, თქვენი ვითომდა სოციალისტურ პროგრამის განხორციელებისათვის სისხლი არ უნდა დაიღვაროს, გაოცებული ს.-დემოკრატი ჰყვირის : დახეთ, ხალხს « ძილისპირს » უქადაგებენ, ჩვენი პროგრამა სოციალისტური არ

არისო! მაშ რა არის, თუ არ სოციალიზმი 8 საათიანი სამუშაო დღე, ბავშვების მფარველობა, გლეხთა დასახმარებლად « ფილანტროპულ » საზოგადოების დაარსება და სხვ. და სხვ. მოდით და გაამტყუნეთ ამის შემდეგ თავმომწ[illegible]ლისტი !

## 7.

როგორც ხედავთ, ჩვენი მოკამათე ყოველ მხრიდამ ცდილობს იერიში მიიტანოს « საქართველოზე », ხოლო რა ადვილად მოსაგერებელია ეს იერიში, ამაშიაც დარწმუნდით. მეომარ-კრიტიკოსი მაინც გულს არ იტეხს და თუ ერთ ადგილას ვერ მოუხდა მოპირდაპირის დამარცხება, ახლა მეორე ადგილს აწვება, თუ აქაც ვერაფერი მოვახერხე, გულადი კაცის სახელი მაინც შემრჩებაო. და აი ამგვარ თავმომწონეობით წახალისებული ავტორი მართლაც და საკვირველის გაბედულობით და კადნიერებით განაგრძობს თავისს კრიტიკას და ცდილობს დაიცვას ვითომდა ჰარმონიულად შედგენილი აგრარული პროგრამა სოციალ-დემოკრატიისა.

« საქართველომ » არა ერთხელ აღნიშნა ამ პროგრამის შეუსაბამო წინააღმდეგობა. თუ კონცენტრაციის კანონი აუცილებელი თვისებაა ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა, სოფლის პროლეტარიზაცია ამ პროცესის აუცილებელი შედეგი უნდა იყოს. და თუ სოფლის პროლეტარიზაცია აუცილებელია, რატომ უნდა გადავეღობოთ ამ ევოლუციას, რატომ უნდა ვცდილობდეთ წვრილ მესაკუთრეთა მდგომარეობა შევამსუბუქოთ, რადგან რაც უფრო მალე მოხდება იგი ევოლუცია, რაც უფრო მალე დაჰკარგავს საკუთრებას სოფლელი, მით უფრო მალე მოხდება კონცენტრაციის გაბატონება და მაშასადამე, საბოლოვო მიზნის განხორციელებაც, ვინაიდან კონცენტრაციას ექსპროპრიაცია მოჰყვება. მარქსიზმის დედააზრი ამნაირია. და თუ ამნაირია მარქსიზმის აზრი, განა შეუსაბამო არ არის მარქსიზმის აგრარული პროგრამა, სადაც უარყოფილია ყოველივე, რაც თეორიულად იყო აღიარებული! ამ პროგრამაში, როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, გლეხთა საკუთრების გასაუმჯობესებელი და გასამაგრებელი საშუალებებია ჩამოთვლილი; პროგრამა ცდილობს შეაჩეროს ან კიდევ თავიდამ ააცილოს გლეხს კონცენტრაციის ულმობელი მალა, ცდილობს ამ ევოლუციას წინაღუდგეს და ამრიგად თეორიისა და პრაქტიკის შორის წინააღმდეგობას ჰბადავს. ეგ თავის დროზე « საქართველომ » აღნიშნა. აქ შეუსაბამობა ისეთი აშკარა და ცხადია, რომ ბევრი ს.-დემოკრატიც აღიარებს მას. მაგრამ ჩვენი უშიშარი რაინდი უარს ჰყოფს არამც თუ ამ შეუსაბამობას და ძირითად წიინააღმდეგობას, არამედ მარქსისტულ ეკონომიურ კონცეპციის დედა-

აზრსაც. მარქსიზმი არასოდეს არ ჰქადაგებდა სოფლის პროლეტარიზაციასო, ე. ი. კაპიტალის კონცენტრაციის ფერმენების აუცილებლობაც სოფელში არასოდეს არ დაუმალავსთ მარქსისტებსო. « მარქსისტული თეორია » გლეხების გაპროლეტარიატებას კი არ მოითხოვს, არამედ მათ გასოციალისტებასო » (გვ. 41). ვსთქვათ ეს ასეა, მაგრამ ეს « გასოციალისტება » რანაირად უნდა მოხდეს მარქსისტების შეხედულობით,? კონცენტრაციის გამეფებით. პროლეტარიზაცია რაღა არის ? აუცილებელი შედეგი კონცენტრაციისა. მაშასადამე, თუ სოციალიზმის დამყარებისათვის კონცენტრაციის გზა უნდა გავიაროთ, პროლეტარიზაციას ვერ ავიცდენთ და პარტიამაც თავის პროგრამაში უნდა აღნიშნოს ეს გარემოება, ე. ი. ისე რომ პროლეტარიზაციის აუცილებლობის გამო, პარტიამ უნდა უარჰყოს ყოველი ზომა წვრილ მესაკუთრეთა საკუთრების და მდგომარეობის გამაგრების და გაუმჯობესებისაკენ მიმართული. ს.-დემოკრატები კი წინააღმდეგს ჩადიან. და აი ჩვენი მოკამათე ენგელსსა და ლენინს იმოწმებს, ყური დაუგდეთ, რა გულმოდგინებით იცავენ წვრილ მესაკუთრეებსო ! თუ ეხმარებიან, მარქსიზმის თეორიას ღალატობენ, და თუ არ ეხმარებიან, ჩვენი კრიტიკოსი გამტყუნებული რჩება, რადგან ამტკიცებს, წვრილ მესაკუთრეთა გულისათვის ს.-დემოკრატია არას ზოგავსო.

ვალაპარაკოთ ამ საგნის შესახებ თვით ს.-დემოკრატები. ჰერცი გვარწმუნებს : « მაშინ როდესაც ფრანგული (ნანტის) აგრარული პროგრამა « თეორიული ცეკვაა ქათმის კვერცხებზე » გაჩაღებული (— წვრილი წარმოება « ფატალურად » იღუპება, მიუხედავად ამისა, ჩვენი მოვალეობაა მას ბრძოლაში ხელი გავუმართოთო) გერმანულ (ბრესლავლის) პროგრამა საზოგადოდ შორს არ იხედება და პირობათა გაუმჯობესების შესახებ საზოგადო ფრაზებით მიდის იოლადაო » (1). აბა, ჰერცი რა სახსენებელია, გვიპასუხებს ჩვენი კრიტიკოსი, ჰერცი ხომ ბერნშტეინის სკოლაშია აღზრდილი, და როგორც რევიზიონისტი რასაკვირველია, იტყოდა ამგვარ სისულელესაო. კეთილი. მაშ დავუგდოთ ყური ვანდერველდს, რომელიც ბელგიაში მარქსიზმის ორთოდოქსიის წარმომადგენლად ითვლება. ვანდერველდიც კრიტიკულად სჯის საფრანგეთის მუშათა პარტიის (ნანტის) აგრარულ პროგრამას : იგი პროგრამა აღიარებს, გლეხთა საკუთრება აუცილებლად დაიღუპებაო, ხოლო ამავე დროს ამბობს, სოციალისტის მოვალეობაა დაეხმაროს გლეხს და შეურჩინოს მიწა. « თუ წვრილი საკუთრება აუცილებლივ ევოლუციის მოთხოვნილებით უნდა გაჰქრეს, ამბობს ვანდერველდი, სოციალისტებმა არ უნდა იკისრონ შეუძლებელი საქმე — გადაურჩინონ გლეხს წვრილი

(1) Аграрные вопросы. Герцъ, русск. изд. Стр. 31.

საკუთრება. რასაკვირველია, მათ შეუძლიანთ ხელი არ გაანძრიონ ამ აუცილებელ პროცესის დაჩქარებისათვის; მათ შეუძლიანთ ამ კლასს შეუმსუბუქონ სულთამბრძოლა [illegible] ხელი გაუმართონ. ხოლო, რაკი სოციალისტი იმ [illegible] რომ წვრილი საკუთრება ფატალურად კაპიტალისტურ საკუთრების მიერ იქმნება ჩაყლაპული, და რომ ამ უკანასკნელის (კაპიტალისტურ საკუთრების) კონცენტრაციას მოჰყვება კოლექტიურ (საზოგადო) საკუთრების განხორციელება, ამიტომ, რათა ლოღიკას არ ვუღალატოთ, არ შეიძლება შევიწყნაროთ ის აზრი, ვითომ კოლექტივისტების უწმინდეს მოვალეობა ამ აუცილებელ ტრანსფორმაციის შეფერხება იყოს. ეს აზრი ფრედერიკ ენგელსმა და შარლ ჟიულმა ცხადზე უცხადესად დაამტკიცესო » (1)· როგორ თუ ფედერიკ ენგელსმა? ენგელსის სიტყვები არ არის, რომ მოჰყავს ჩვენს მოკამათეს იმის დასამტკიცებლად, რომ ამ შემთხვევაში არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს თეორიის და პრაქტიკის შუა; ენგელსის პირით არ გვეუბნებოდა ავტორი: « ჩვენ წინდაწინვე ვხედავთ წვრილ მესაკუთრე გლეხების აუცილებელ გაქრობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩვენი საქმე არ არის ეს გაქრობა ჩვენის ჩარევით დავაჩქაროთ... ჩვენ გადაჭრით ვდგებით წვრილ მესაკუთრე გლეხობის მხარეზე, ჩვენ ყოველ ღონეს მივიღებთ, რომ მან უკეთ იცხოვროს, რომ გავუადვილოთ წარმოების საამხანაგო წესზე გადასვლაო » (2). ასე სჯის ენგელსი და ავტორიც იმოწმებს ამ სიტყვებს. მაგრამ ყური დაუგდეთ, რას ამბობს იგივე ენგელსი ამავე საგნის შესახებ: « კაპიტალისტურ წარმოების განვითარებამ სასიკვდილოდ გასწირა სოფლის წვრილი მესაკუთრეობაო ». სავალალო მოვლენაა იგი, თუ სასიხარულო? სასიხარულოა, რადგან ამრიგად ძველი წყობილების ნაშთი იკარგებაო. « წვრილი მესაკუთრე გლეხი იმითი განირჩევა პროლეტარიისაგან, რომ მას ხელში ჯერ კიდევ შერჩა შრომის იარაღი. წვრილი მესაკუთრე — ნაშთია გადაშენებულ წარმოებისაო » (C'est une survivance d'un mode de production depassé) (3). თუ მაგრეა, ხელი უნდა შევუწყოთ ამ ნაშთის ძირიანფესვიანად აღმოფხვრას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მას დღეს თუ ხვალ აუცილებლივ დაეკარგება სიცოცხლის უნარი. « წვრილი მესაკუთრე გლეხი, როგორც გადაშენებულ წარმოების ნაშთი — გაქრობა აუცილებლივ მოელის. იგი მომავალი პროლეტარიაო » (იქვე). რაკი ეს ასეა, დასძენს ენგელსი, გლეხს ვერ დავეხმარებით, როგორც მესაკუთრესო. აი მისი სიტყვები: « რანაირად გინდათ დავეხმაროთ გლეხს, როგორც მესაკუთრეს და არა რო-

(1) Essais sur la Question Agraire par Emile Vandervelde page 23.
(2) Question Agraire — « Mouvement Socialiste » n° 43, p. 394. 1900.
(3) ibid.

გორც მომავალ პროლეტარიატს ? ხომ დავარღვიეთ ამით მირითადი პრინციპები სოციალიზმისა ! ამ საყვედურის თავიდამ ასაცილებლად, ცდილობენ სოციალიზმს [illegible] თავისუფალი პრინციპი დაუდონ, ცდილობენ დაამ[illegible] სოციალიზმის პრინციპი მოითხოვს წვრილ საკუთრების მფარველობას, რათა კაპიტალისტურმა წარმოებამ არ შთანთქას იგი. ხოლო აშკარად ხედავენ, რომ წვრილ საკუთრების დაღუპვა აუცილებელია » (იქვე, გვ. 397). ახლა გვიბძანეთ, რომელ ერთს ენგელსს დავუჯეროთ ? იმ ენგელსს, რომელიც ამბობდა, « გადაჭრით ვდგებით წვრილ მესაკუთრე გლეხობის მხარეზე, ყოველ ღონეს ვიღონებთ, რომ მან უკეთ იცხოვროსო », თუ ამ ენგელსს, რომელიც აღიარებს, რომ გლეხს დავეხმარებით არა როგორც მესაკუთრეს, არამედ როგორც მომავალ პროლეტარიატსო ?! ამგვარ წინაალმდეგობაშია გახლართული არა მარტო ენგელსი, არამედ მთელი მარქსიზმი, ასე რომ ენგელსის მოწმობა ვერაფრად გამოადგა ჩვენს სწორ-უპოვარ კრიტიკოსს. მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლის და გაიძახის :

« სოციალ-დემოკრატიის ინტერესია, გლეხობა მოიმხროს როგორც გლეხი და არ უცადოს მისს გაპროლეტარიატებას » (გვ. 39). ამ აზრისაა, როგორც გერმანიისა, ისე რუსეთის ს.-დემოკრატია. აი რუს ს.-დეიოკრატის, ბ. ლენინის სიტყვები : « ს.-დემოკრატები იბრძვიან მუშების და გლეხების ყველა იმ გაუმჯობესებისათვის, რომლის განხორციელება შეიძლება ეხლავე, სანამ ბურჟუაზიის ბატონობა ჯერ კიდევ არ დაგვიძლევია და რაც ამ ბატონობასთან ბრძოლას აადვილებსო » (გვ. 40). ახლა ზოგი ლენინის მასწავლებელს, კაუცკის, ჰკითხეთ, რა ფასს აძლევს გლეხთა მდგომარეობის ამ « გაუმჯობესებას, რომლის განხორციელება შეიძლება ეხლავე ». რუსეთის ს.-დემოკრატიის კრიტიკოსები გერმანელ თეორეტიკოსების მიერ გაკვალულ გზას მისდევენ. და აი გერმანულ თეორიულ აზრის წარმომადგენელის, კაუცკის, შეხედულებით, არ არის არც ერთი საშუალება, რომელსაც კი შეეძლოს პროლეტარიზაციის და კაპიტალიზაციის ზედგავლენისაგან გლეხობა გადაარჩინოს. მართალია, კაუცკიმ აღიარა, რომ დღეს სტატისტიკა არ გვაძლევს მასალას იმის დასამტკიცებლად, რომ წვრილი საკუთრება ადგილს უთმობს სხვილ საკურების გაბატონებას, მიუხედავად ამისა, რადგან პროლეტარიზაცია განვითარების ტენდენციაა და რადგან არც ერთი ზომა — იაფფასიანი კრედიტი, საწარმოვო თუ სხვაგვარი სინდიკატი და კოოპერაცია კაპიტალიზაციისაგან ვერ გადაარჩენენ გლეხს, ამიტომ ამგვარ ზომებით გატაცება შეუწყნარებელიაო (1) « მე-

(1) საწარმოვო კოოპერაცია, კაუცკის აზრით, კაპიტალიზმის და არა სოციალიზმის გამეფებისათვის არის საფუძველი. ის. მისი La question Agraire. გვ. 398.

ვახშეობა (l'usure), მამულის დავალიანება, რის გამოც გლეხს საკუთრება ეკარგება — აი, სოციალისტურ პოპულიარულ შეხედულებით, აგრიკულტურის სარევოლუციო ელემენტებად ამბობს კაუცკი (2). ხოლო რათა მამულის დავალიანებამ გამოაჩინოს თავისი სარევოლუციო ხასიათი, განსაკუთრებული პირობებია საჭიროვო. მას ამგვარი ხასიათი აქვს მხოლოდ კაპიტალისტურ ხანაში : « როდესაც კაპიტალისტური წარმოება იბადება, როდესაც სხვილ და წვრილ საკუთრების შუა ბრძოლა იზრდება და როდესაც ფულის საშუალებით შესაძლებელი ხდება წარმოების გაფართოვება, ამ შემთხვევაში მევახშეობა (l'usure) იმგვარ კრედიტად ხდება, რომელიც კაპიტალს მოქმედების ძალას ჰმატებს და აჩქარებს ეკონომიურ ევოლუციასაო » (3).

დღეს ჩვენ კაპიტალისტურ ხანაში ვიმყოფებით, მაშასადამე, კაუცკის რომ დავუჯეროთ, სოფლის დავალიანებას ხელი უნდა შევუწყოთ, რათა ამითი დავაჩქაროთ ეკონომიური ევოლუცია. მაგრამ, ს.-დემოკრატულ აგრარულ პროგრამას წინააღმდეგი აზრი აქვს და აი სწორედ ეს წინააღმდეგობა აღვნიშნეთ ჩვენ და ამ ჩვენს აზრს უწოდებს ჩვენი კრიტიკოსი ცილისწამებას.

ჩვენ ვამბობდით : « თუ კი გლეხს მიწა არ შერჩება, რისთვის აძლევენ ? თუ კი იმ კანონს აუქმებენ, რომლის ძალით რუსეთში გლეხი თავის მიწას ვერ გაჰყიდის, ღალის რაოდენობა რატომ უნდა გადასწყვიტოს ხასამართლომ ? მიტომ განა, რომ გლეხს მეტი არ მოსთხოვონ, რომ იგი არ დაიჩაგროს ? ხოლო განა უფრო არ დაიჩაგრება, მიწას რომ დაჰკარგავს » ? (№ 10). ამისი თქმა საკმარისი იყო ჩვენს მიერ და ჩვენმა მოპირდაპირემ იმწამსვე ძველის წესის მოტრფიალედ, ბატონყმობის აღმადგენელად გამოგვიყვანა. დააკვირდით, რასაც ჰქადაგებსო « საქართველო » ! « იმას, რომ გლეხს ნება არ მიეცეს თავის საკუთრება გაყიდოს, დააგიროს, ერთის სიტყვით, როგორც სურს, ისე მოიხმაროს. მაშასადამე, გლეხს არ უნდა მიეცეს ის უფლება, რაც ყველას აქვს, ის უნდა გამოირიცხოს მოქალაქეთა რიცხვიდამ და მეორე ხარისხოვან ადამიანად ჩაითვალოსო » (გვ. 44). ხოლო კრიტიკოსი ამითი სიტყვას ბანზედ აგდებს. ჩვენ არ გამოვსულვართ იმ კანონის მცველად, რომელსაც რუსულად — **неотчуждаемость земли'ს** უწოდებენ, ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ცხადი შეუსაბამობა : ორში ერთია, ან ეხმარებით გლეხს, ან მის გაბოგანოვებას ხელს უწყობთ. თუ ეხმარებით, აღარ გააუქმებთ იმ კანონს, რომელზედაც რუსეთში საზოგადო მიწის მფლობელობაა დამყარებული ; რადგან ამ კანონის გა-

(2) ibid გვ. 444.
(3) ibid გვ. 445.

უქმებით გლეხს მიწას დააკარგვინებთ, ვინაიდან იგი შეუიარაღებელია სოფლის წურბელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ვინაიდან დღევანდელ პირობაში მიწის [illegible] « თავისუფლება » ნიშნავს მისის მიწის დაკარგვის [illegible] უფლებას. თუ კიდევ გლეხის გაბოგანოვებას ხელს უწყობთ, მიწას ნუღარ ურიგებთ და სასამართლოებსაც ნუ მიმართავთ ძალის მოსაწესრიგებლად! ამ წინააღმდეგობის დარღვევა რომ ველარ მოახერხა ავტორმა, ჩვენ მოგვაწერა, ძველი წესის გამამაგრებელ კანონის მომხრე ხართო.

ჩვენი მოკამათის განრისხება ბურჟუაზულ პრესის განრისხებას გვაგონებს, როდესაც ეგრედ წოდებულ შრომის თავისუფლების შესახებ (la liberté du travail) იწყებენ ყაყანს. ბურჟუაზული პრესა წინააღმდეგია იმისა, რომ გაფიცვა, თუ იგი უმრავლესობის გადაწყვეტილებაა, სავალდებულოდ გამხდარიყო უმცირესობისათვის. ეგ შრომის თავისუფლების უარყოფა იქნებაო. მუშაც მოქალაქეა, მუშასაც უნდა ჰქონდეს იგივე უფლება, რომლითაც ბურჟუაზული კლასები სარგებლობენ, მასაც უნდა ჰქონდეს უფლება იმუშაოს მაშინ, როდესაც მოისურვებს. სავალდებულო გაფიცვა ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დარღვევააო. ასე სჯიან ბურჟუაზული იდეოლოგები. ამნაირივეა არგუმენტები ჩვენის ავტორისა: საქართველო ჰქადაგებს, გლეხს მიწის გაყიდვის და დაგირავების უფლება არ უნდა ჰქონდესო. როგორ? ნუ თუ « გლეხს არ უნდა მიეცეს ის უფლება, რაც ყველას აქვს. ის უნდა გამოირიცხოს მოქალაქეთა რიცხვიდამ და მეორე ხარისხოვან ადამიანად ჩაითვალოსო (გვ. 43). ჩვენ გვსურს, განაგრძობს ავტორი, გლეხი იყოს ისეთივე თავისუფალი მოქალაქე, როგორც თვითოეული ჩვენთაგანია... ჩვენ ვიცავთ მას, როგორც მოქალაქეს, როგორც ადამიანსო » (გვ. 44).

ამრიგად « მოქალაქეთა უფლების » დამცველად გამოდის ჩვენი კრიტიკოსი. ადამიანი, რომელიც, ეკონომიურის უსამართლობის გამო, დამონავებულია ჩარჩის, მემამულის და თვითმპყრობელ სახელმწიფოს მიერ « ჩვენისთანა » თავისუფალი მოქალაქე უნდა გახდესო! არ ვიცით « ჩვენისთანას » რომ ამბობს ავტორი, ვისა ჰგულისხმობს, ვიცით მხოლოდ, რომ « მეორეხარისხოვან ადამიანიდამ » პირველხარისხოვნად ადამიანი იმ დრომდე ვერ გახდება, სანამ სოციალური უთანასწორობა არ მოისპობა, სანამ სხვის შრომის გაქურდვა და დასაკუთრება არ განქრება. მაგრამ კრიტიკოსი სხვა აზრისაა: გააუქმეთ საერთო მიწის მფლობელობის დამცველი კანონი (1), დააჩქარეთ მიწის აღებ-მიცემობის

(1) ეს კანონი ჩვენში არ არსებობს. გლეხს შეუძლია გაყიდოს და დააგიროს მიწა და ამგვარად ჩვენში გლეხს აქვს საშუალება „პირველხარისხოვან ადამიანად" შეიქმნეს.

რედ.

პროცესი, ჩააგდეთ, რაც შეიძლება მალე, ჩარჩების ხელში, გაუადვილეთ გლეხს საშუალება ქალაქებში წასვლისა და იქ პროლეტართა რაზმში შეიყვანეთ და გლეხი « თავისუფალ მოქალაქედ გახდება, « მეორეხარისხოვან ადამიანიდან » პირველხარისხოვნად შეიქმნებაო ! ბურჟუაზულ იდეოლოგიას ადვილად სცნობთ ამ მოსაზრებაში. და როგორც ბურჟუაზულ წეს-წყობილების მოტრფიალეს, « მოქალაქეს და ადამიანის უფლებათა » დამცველს შეჰფერის, ჩვენმა ავტორმა, შეურაცხყოფილმა ჩვენ მიერ თავის « ლიბერალურ » გრძნობებში, « საქართველოს » ბოლოს « ფეოდალ-ნაციონალისტობაც » კი დასწამა. « მან იარა, იარა და ფეოდალიზმს კარზე მიადგა, ამბობს ბროშურის ავტორი, ამითი მთელი თანამედროვე მოქალაქობრივი განვითარება უარჰყო და « ძველი წესის » მოტრფიალედ კამოცხადდაო » (გვ. 44) და ეს თურმე იმიტომ მოგვივიდა, რომ ჩვენ გლეხი « პირველხარისხოვან » ადამიანად არ ვსცანით, რადგან სურვილი გამოვაცხადეთ, ჩარჩების და კაპიტალისტების ხელში გადასვლას, მიწა ისევ გლეხის ხელში დარჩეს'თქო ! კრიტიკაც თუ გინდათ, ამისთანა უნდა !

8.

ამნაირი ხასიათისაა საბუთები ჩვენის სწორ-უბოვარ კრიტიკოსისა. მაგრამ იგი გულს არც ამითი აჯერებს. ქვეყანას აუწყებს, კრავსავით ბღავის და ჩივის : მოპირდაპირესთან ბრძოლა ადვილი საქმეა, სანამ იგი თეორიულ ნიადაგზეა, მაგრამ რას გააწყობთ, როდესაც იგი საზიზღარ იარაღსაც არ ერიდება, ცილს გვწამებს და ამ საშუალებით ჰსურს სახელი გაგვიტეხოსო. და აი ჩვენი « პირველხარისხოვანი მოქალაქე » ჩვენ მიერ გავრცელებულ ვითომდა ცილისწამების სიასაც კი აღნუსხავს. ამ სიაში ცილისწამების ორი ნიმუში განსაკუთრებულ მუხლშია აღნიშნული და ჩვენც შევაჩეროთ მათზე ყურადღება, იქნება მართლა რამე იმისთანა ვსთქვით, რაიც სიმართლეს მოკლებულია და რასაც უზნეო ხასიათიც აქვს.

ყველამ იცის, რომ ს.-დ. პარტიას, საზოგადოდ, თანდათან პოლიტიკურ რეფორმატორთა ხასიათი ეძლევა. მათსა და სოციალისტ-რევოლუციონერთა და კომუნისტ-რევოლუციონერთა შორის განხეთქილება დღითი დღე იზრდება. ამ განხეთქილებამ თავი იჩინა როგორც რუსეთის ს.-დემოკრატთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა შორის, ისე იმავე მიმართულებათა შორის ევროპაშიაც. ეს ფაქტი ყველასათვის ცხადი გახდა და ცხადია აგრეთვე ამ მიმართულებათა შორის ატეხილი ქიშპობა და ბრძოლა. ამ შეუთანხმებლობის და ქიშპობის ერთი ეპიზოდთაგანი წარსულ გაზაფხულს გერმანიაშიაც

ადმოჩნდა. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა ბიულოვმა უსაყვედურა რეიხსტაგში გერმანელ ს.-დემოკრატ დეპუტატებს, ხელს უწყობთ ტერორისტულ და რევოლუციონურ ლიტერატურის რუსეთში გადატანასო. ამის გამო პარტიის მეთაურმა ბებელმა « შესანიშნავი » რამ სთქვა. ჩვენ თავის დროზედ აღვნიშნეთ მისი სიტყვები მაგრამ ჩვენი კრიტიკოსი გვიჩივის, ბებელის სიტყვები განგებ დაამახინჯეთ, ოთაო ს.-დემოკრატიისათვის ჩირქი მოგეცხოთო. რა სთქვა ბებელმა ? აი მისი სიტყვები, რომელიც ჩვენს ავტორს გერმანულ ს.-დ. ორგანო « Vorwarts »'დამ (№ 511) ამოუწერია : « გერმანიის ს.-დემოკრატები, რომელნიც ხელს უწყობდნენ რუსულ ლიტერატურის გადატანას, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გადაჰქონდათ სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურაო » (გვ. 54). დარწმუნებული იყვნენ, ხოლო მოსტყუვდნენ ? ვინმოატყუა, რევოლუციონერებმა და ტერორისტებმა ? ავტორი ვერც კი ამჩნევს, რომ თავის გასამტყუნებლად და საუბედუროდ ამოწერა ეს სიტყვები, რადგან ეს სიტყვები არამც თუ არ არღვევენ ჩვენს « ცილისწამებას », არამედ გვიმტკიცებენ, რომ სრულ ჭეშმარიტებასა ვწერდით. ამ ინციდენტის შესახებ ავსტრიის ს.-დემოკრატიულ პარტიის გაზეთ « Arbeiter Zeitung »'ის სიტყვები ვიმოწმეთ. აი რას სწერდა (№ 61) ეს გაზითი : ბებელმა რეიხსტაგში განაცხადა « გერმანელი ს.-დემოკრატები, რომელნიც ხელს უწყობდენ ამ საქმეს (ე. ი. რუსულ ლიტერატურის რუსეთში გადატანას) დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გადაჰქონდათ ს.-დემოკრატიული და არა სარევოლუციო ლიტერატურაო ». ასე სწერია აღნიშნულ გაზეთში. ჩვენი ავტორი არ იხსენიებს, საიდამ ამოვიღეთ ჩვენი ცნობა. « საქართველომ » ბებელს თავისით ცილი დასწამაო. ხოლო შეადარეთ ახლა ეს ორი ვარიანტი. Vorvarts'ი, სიტყვას « სარევოლუციო »'ს არ იხსენიებს. მაგრამ განა ეს სიტყვა Arbeiter Zeitung'ის მიერ არის გამოგონილი ? ბიულოვმა ბრალი დასდო, სარევოლუციო ლიტერატურა გადაგქონდათო. ჩვენი ავტორი არც იმას იხსენიებს, რა ბრალი დასდო ბიულოვმა. და რაკი ბიულოვმა ზემოაღნიშნული მოქმედება დააბრალა, ამიტომ ჩვენ მიერ მოყვანილი სიტყვები სიმართლეს დამორებული კი არა, არამედ ნამდვილ გარემოებას მოწმობენ. გერმანიის ს.-დემოკრატიას არ ჰსურს ტერორისტულ და სარევოლუციო საქმისათვის ხელის შეწყობა. ამ უტყუარ ფაქტის აღიარების მაგიერ, ავტორი ჩივის, « აი რა უშვერებელი ცილი დასწამა « საქართველომ » გამოჩენილ ს.-დემოკრატს ბებელსო ! განა ასეთ ჭორიკანა გაზეთთან ღირს ლაპარაკიო ». ავტორს, საუბედუროდ ბროშურის მე-54 გვერდზე, ე. ი. ბოლოში მოაგონდა ის გარემოებაა რომ ჩვენთან ლაპრაკიც კი არ ღირს.

აი მეორე ნიმუში « ცილისწამებისა ». ჩვენ თურმე ლენინის სიტყვებიც დავამახინჯეთ — იმ სახელოვან ლენინისა, რომლის აზრით რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის [illegible] რალური კომიტეტი ყოვლად ძლიერ მუშტს უნდა [illegible] რომელიც ყველას უნდა სწვდებოდეს, პარტიაში დისციპლინას იცავდეს და პარტიის წევრებს ჭკუას ასწავლიდესო. ლაპარაკი იყო განაპირა ქვეყნების ავტონომიის და ოლქებრივ თვითმართველობის შესახებ. ლენინი წინაალუდგა ოლქებრივ თვითმმართველობის პრინციპს, რადგან ეს პრინციპი შეიძლება ისე განმარტონ, « ვითომ ს.-დემოკრატია სახელმწიფოს დანაწილების მომხრეაო ». ასე ვთარგმნეთ ჩვენ ლენინის სიტყვები. სიცრუეა, ლენინს ეგ არ უთქვამსო. აი მისი სიტყვები, პროტოკოლიდან ამოწერილიო: ლენინი « წინააღმდეგია სიტყვა « საოლქო »'სი. რადგანაც შეიძლება ეს სიტყვა ისე განმარტონ, « ვითომ ს.-დემოკრატია თხოულობდეს მთელ სახელმწიფოს წვრილ ოლქებად დანაწილებასო; აი ეს, « წვრილი ოლქები » « საქართველომ » გამოტოვა და ასე ავტორს თავისი ჭირი თავზე მოახვიაო » (გვ. 55). მაგრამ დააკვირდით, არის თუ არა რაიმე განსხვავება ჩვენ და ავტორის მიერ მოყვანილ სიტყვებს შორის? ჩვენ ვთქვით, წინააღმდეგია დანაწილებისა და არა ვსტთქვით წვრილ ოლქებად დანაწილებისაო! განა ხსვილ ოლქებად დანაწილებისა კი მომხრე იყო ლენინი? მას ციებ-ცხელება მოსდიოდა სიტყვა « ოლქს » რომ გაახსენებდნენ. მას არც დიდ ოლქებისა სწამს-რა, არც პატარებისა. იგი იყო მომხრე რუსეთის მთლიანობისა. ერნი, რომელნიც დარჩებიან რუსეთის სახელმწიფოს ჩარჩოში, ერთ სხეულს უნდა შეადგენდნენ. არც დიდი არც პატარა ოლქების თვითმმართველობა არ სწამდა ლენინს. ამიტომაც იყო ვთარგმნეთ მისი სიტყვები: « დანაწილების წინააღმდეგია »'თქო. და ქართული სიტყვა « დანაწილება » სწორეთ წვრილ ნაჭრებად დაკუწვას ნიშნავს. ასე რომ აქაც ავტორის გულისწყრომა ყალბ და ფუჭ გულისწყრომად გამოდგა. და მისი სიტყვები « საქართველოს » შესახებ ნათქვამი: « გაზეთი ჭორების მორევში დაცურავს, ყოველივე ზნეობრივი საზომი დაჰკარგა » (55) — თამამად შეგვიძლია მთქმელს მივაკუთნოთ.

9.

მაგრამ ავტორი არც აქ შესდგა. « საქართველოსთან » კამათობით გული ვერ იჯერა, ვერ დაიმშვიდა. მას სხვა « მსხვერპლიც » მოსწყურდა. როგორც ჯარისკაცს ტყვიის ზუზუნის გაგონებისა და ხმლის პრიალის დანახვისთანავე გული საომრად აუტოკდება ხოლმე, ისე ჩვენს მეომარ კრიტიკოსსაც კალმის შეუჩერებელმა წრიპინმა საერთელი აუშალა, წინ

გაწევის, მოპირდაპირეზე იერიშის მიტანის სურვილი გაუ-ღრკევა. « საქართველო » ხომ გასთელა ლურსმებით მით მოჭედილ წაღების ქვეშ, ახლა « ქართველ რევოლუციონერ-თა კონფერენციას » სწვდა, გაწევ-გამოწევა « [illegible] კლანჭებით და უწყალოდ იქვე სულმობრძავი მიაგდო. « მი-მართულების მამიებელნი ერთად შეიყარნენ « სალაპარაკოდ ». კრებას დაესწრნენ ოთხი ანარქისტი, « საქართველოს » ორი წარმომადგენელი და დანარჩენი — « პუბლიკაო », ბრძანებს იგი. « მიმართულების მიება » ცოდვად არ მიგვაჩნია, თუ ეს მიება ჭეშმარიტების და სიმართლის წყურვილით არის გამოწვეული. ხოლო მიაქციეთ ყურადღება სიტყვას « პუბ-ლიკა ». იგი აშკარაა ხურდა-მურდა ხალხის გროვას ნიშნავს. აბა, რასაკვირველია, ვინ უნდა მოსულიყო « მიმართულე-ბის მამიებელ » კონგრესზე, თუ არ « პუბლიკა » ! ნამდვი-ლად კი ამ « პუბლიკამ » მოუტანა კონფერენციას მანდატები, ამ პუბლიკაში იყვნენ სხვა და სხვა ჯგუფების წარმომადგე-ნლები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ამხანაგების მიერ განსაზღვრულ აზრების დაცვა. ბევრი უსახსრობის გამო ვერ დაესწრო კონფერენციას, ხოლო გამოგზავნეს, ზოგმა რეფე-რატი, ზოგმა რეზოლუცია, მილოცვა და სხვ. კონფერენციას დაესწრო 28 კაცი. მათში ხუთმა ს.-დემოკრატმა ორი დღის უნაყოფო კამათის შემდეგ, როდესაც დაატყეს, რომ მათს « აზრებს » სერიოზული კრიტიკა მოელოდა კონფერენციაზე, თავი დაანებეს კრებას. დარჩა 23 კაცი, რომელთაც ათის დღის განმავლობაში იმუშავეს და მათი სურვილები და სოციალ-პო-ლიტიკური მიმართულება კონფერენციამ რეზოლუციებში გა-მოსახა. ამ რეზოლუციების შემუშ.-ვებაში « საქართველოს » რედაქციასაც მიუძღვის თავისი წვლილი. ყოველი ამის თქმა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან აქაც ბრომურის ავტორმა ჩვეუ-ლებრივად დაამახინჯა სინამდვილე და სიცრუე, ცუდი და მახინჯი სიცრუე აღიარა. « რა გონებრივი ავლადიდების და რა სარევოლუციო მომზადების ყოფილა ამ ყრილობის « დიდი უმრავლესობა » — ნათლად სჩანს იქიდან, რომ მათ « საქართველო » უცვნიათ თავიანთ აზრების გამომხატველ ორგანოდ ! ხოლო რა თვისების და აზროვნების, ანუ უკეთ ვსთქვათ, უაზრობის პატრონი არის ეს ორგანო და მისი რე-დაქცია — ზემოდ დავინახეთო » (გვ. 56). ავტორი არ ცდი-ლობს კონფერენციის მიერ შემუშავებულ რეზოლუციების გარჩევას და მათის ღირსება-ნაკლულევანებათა მიხედვით კონფერენციის მიმართულების დაფასებას. ამას არ კითხუ-ლობს მოკამათე, ტყუილების თქმა უფრო შესაფერ საქმედ მიაჩნია და ამიტომაც დამალა ის გარემოება, რომ « საქარ-თველო » აღიარებულ იქმნა კონფერენციის ორგანოდ რე-ზოლუციების შემუშავების შემდეგ, როდესაც გაზეთის რედა-

ქცია და კონფერენცია სოციალ-პოლიტიკურ კითხვების გადაწყვეტაში შეთანხმდნენ. გაზეთ « საქართველოს » შესახებ კონფერენციამ დაადგინა :

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან კონფერენციის წევრებმა დიდის ხმის უმრავლესობით სრული სოლიდარობა და თანხმობა გამოაცხადეს მუშათა, აგრარულ, ეროვნულ და სარევოლუციო ტაქტიკის კითხვათა გამორკვევის დროს (იხ. რეზოლუციები), რადგან „ საქართველოს " რედაქციის წარმომადგენლებმაც აღნიშნულ კითხვათა განმარტების დროს სრული თანხმობა გამოუცხადეს კონფერენციას, კონფერენცია აცხადებს სურვილს, რომ „ საქართველო " აღიარებულ იქმნას კონფერენციის აზრთა გამომხატველ ორგანოდ და თანახმად რედაქციის წინადადებისა, დაერქვას : „ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო " (იხ. დამატება № 1.).

მაშასადამე, « საქართველო » გამოცხადდა კონფერენციის აზრთა გამომხატველ ორგანოდ იმის შემდეგ, როდესაც კონფერენციამ რედაქციასთან ერთად სარევოლუციო პრინციპები შეიმუშავა და უმთავრეს კითხვებში სოლიდარობა განაცხადა. ეს გარემოებაც მიმალა ჩვენმა მოკამათემ. ავტორს რასაკვირველია ვერაფრად ესიამოვნება სარევოლუციო ახალ ჯგუფის სამოქმედოდ გამოსვლა და ის აქაც, ამ ჯგუფის სახელის გასატეხად არაფერს მოერიდა.

დიაღ, დღეს « საქართველო » და « ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია » ერთმანერთთან დაკავშირებულნი და დავალიანებულნი არიან. კონფერენციის რეზოლუციებმა განსაზღვრული ხასიათი მისცეს « საქართველოს ». სათაკილოდ არ მიგვაჩნია აღიარება, რომ კონფერენციამ საქმე გაგვიადვილა და ხელი შეგვიწყო ძნელი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. კონფერენციის დახმარებით შევიგენით ის აზრი, რომ სოციალისტურ პარტიის პროგრამაში დემოკრატულ რეჟიმის მოთხოვნანი კი არ უნდა იყოს ჩამოთვლილი, არამედ სოციალისტური პრინციპები. მართალია, ჩვენ არც წინად ვრაცხდით დემოკრატულ ხასიათის რეფორმებს სოციალისტურ რეფორმებად, მაგრამ სოციალისტური ხასიათის მოთხოვნანი საპროგრამო კითხვების გარკვევის დროს კატეგორიულად და გადაჭრით არ გვქონდა წამოყენებული. ამ მხრივ, მეგობრების დახმარებით, ჩვენ ერთის ნაბიჯით წინ წავსდექით. ნაკლულევანების აღიარება იმ შემთხვევაშია სირცხვილი, როდესაც წინსვლის მაგიერ ადამიანი ფეხს არ იცვლის, როდესაც, ნაცვლად დაწუნებულის ან უარყოფილის აზრისა, სხვა აზრი და სხვა ახალი პრინციპი მას არსად უჩანს.

მაშ იცოდეთ, ბატონო კრიტიკოსო, რომ რაც კონფერენციამდე დაგვიწერია, ყოველივე, რაც « მახლობელ მიზნად » დაგვისახია, თვისის დემოკრატულის ხასიათით არ ჩამოუვარდება იმას, რასაც თქვენ ხალხში სოციალიზმის სახელით ასაღებთ ! იცოდეთ, რომ დღეს ჩვენ ვცანით ის შეცდომა,

რომელიც მოხდის სოციალისტს, როდესაც იგი « მახლობელ მიზნად » ინტეგრალურ სოციალიზმის განხორციელებას კი არ იყენებს, არამედ, სხვა რაიმეს. რაც მიაგავს [illegible] მხოლოდ სოციალიზმი კი არ არის, იცოდეთ, [illegible] ტიკოსო, რომ მაშინ, როდესაც ჩვენ შევიგენით იგი საფრთხე და შეცდომა, თქვენ, როგორც ს.-დემოკრატი იხევ ძველ ნიადაგზე დგეხართ, მუშათა მფარველ კანონმდებლობის შემოღება მიზნად დაგიყენებიათ, ხალხს არწმუნებთ, ვინც კრინტს დასძრავს და გაჰბედავს იმის თქმას, რომ ყოველივე ეს სოციალიზმი არ არისო — ხალხის მტერი და შემბოჭველიაო, იცოდეთ, რომ თქვენსა და ჩვენს შორის სამსჯავრო არსებობს, რომელსაც ხალხის თვითშემეცნება ჰქვია და ვაი იმას, ვინც, სინიდისის ქვეშ, გულახდილად ვერ წარსდგება ამ სამსჯავროს წინაშე !

დიაღ, ჩვენში სოციალიზმი ჯერ არავის შეუტანია. ს.-დემოკრატულ თეორიულ შეცდომების წინააღმდეგ რისიმე თქმა შეუძლებელი იყო. იმწამსვე « ნაციონალისტთა » რიცხვში ჩაგრიცხავდნენ. რევოლუციონური და სოციალისტური კრიტიკა მარქსიზმისა და საზოგადოდ ს.-დემოკრატულ პროგრამისა სრულიად უჩვევი საქმე იყო ჩვენში. ვინც სოციალ-დემოკრატი არ არის, ის სოციალისტი ვერ იქნებაო. და ს.-დემოკრატულ თეორიულ შეცდომათა წინააღმდეგ ბრძოლა, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლად მიაჩნდათ. აი ჩვენი მოკამათეც კი ამბობს, პროლეტარიატს აშკარა ბრძოლა გამოუცხადა « საქართველომ », რადგან ს.-დემოკრატული პროგრამა კრიტიკულის თვალით გასინჯაო. ამისთანა ბარბაროსობას და შეუწყნარებლობას ბოლო უნდა მოეღოს. მოეღება კიდევაც, როდესაც « სოციალისტ-ფედერალისტთა » პარტია თავის მოქმედებას გააძლიერებს, თავის აზრს ფართოდ გაავრცელებს, და ხალხის მოძრაობაში პასუხისმგებლობას იკისრებს !

## 10.

მაგრამ ... კმარა. « ქართველი ნაციონალისტები »'ს დამწერის ფიზიონომია საკმარისად გამოირკვა და მასთან ერთად გამოირკვა მიმართულება იმ პარტიისა, რომლის ბეჭედიც ახვია ამ წიგნაკს. გავარჩიეთ ავტორის საბუთები, დავაფასეთ მისი კრიტიკული ნაწარმოები, რომელიც უმეცარ გაბედულობისა და მედიდურ კადნიერების სამაგალითო ნიმუშად დარჩება საშვილიშვილოდ. ჩვენ იძულებულნი ვიყავით ავტორს კვალ და კვალ გავყოლოდით და ამასობაში მართლაც და საგანგებო რამ აღმოვაჩინეთ. აღმოჩნდა, რომ « ქართველი ნაციონალისტები »'ს დამწერის აზრით, ეროვნული ავტონომია ტერიტორიალურ ავტონომიისაგან არ განირჩევა,

აღმოჩნდა, რომ ფედერატულად დაკავშირებულ ერებს თურმე იგივე დამოკიდებულება უნდა ჰქონდესთ ერთმანეთთან, როგორც არსებობს ინგლისისსა და მის კოლონიებ[illegible] (ხნვაგვარი ურთიერთობა ავტორისთვის უც[illegible] აღმოჩნდა, რომ « რესპუბლიკალური ერობა » პრეფექტიოთურთ თურმე რაღაც საზარბიელო დაწესებულება ყოფილა. და რუსეთის ს.-დ. პარტიის თვალში ამ სისტემის შემოღება რუსეთში დეცენტრალიზაციის მომასწავებლად ჩაითვლებაო. (აქ საინტერესო ის არის, რომ რუსეთში დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს იმ სისტემის წყალობით, რომელიც ნაპოლეონის ხელში ცენტრალიზმის გამამტკიცებელ საშუალებად იყო ყოველთვის.). გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ავტონომიურ ორგანიზაციათა დამაკავშირებელი ფედერატიული პრინციპი, თურმე ფეოდალური პრინციპი ყოფილა და ფედერატიულ ორგანიზაციის შემოღება პარტიულ ორგანიზაციაში მისს (ე. ი. პარტიის) « გაფეოდალებას » და « ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხვას » ნიშნავსო. აღმოჩნდა კიდევ, რომ ავტორს დაავიწყდა თავისი ნათესაობა, დაავიწყდა, რომ იგი ს.დემოკრატია, ე. ი. ბურჟუაზიულ პროგრამის მცველი და ბურჟუაზიულ ალიანსების მომხრე, და ის რაც სამართლიანად იმ პარტიის წინააღმდეგ ითქმოდა, რომელსაც იგი ეკუთვნის, ჩვენ მოგვიბრუნა და ჩვენ მოგვახვია თავზე. და ამასთან ლიბერალობის ისეთი საბუთები წამოგვიყენა, რომლის ძალითაც გლეხი « პირველხარისხოვან მოქალაქედ » თურმე ადვილად გახდება, ოღონდ მიწის გაყიდვის საშუალება გაუადვილეთო. აღმოჩნდა, რომ მარქსიზმი თურმე არ ჰქადაგებს გლეხების გაპროლეტარიატების საჭიროებას და რომ ამიტომ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს მარქსიზმის აგრარულ თეორიის და პრაქტიკის შუა. აღმოჩნდა, რომ ის, რასაც ავტორი ცილისწამებას უწოდებს, ჭეშმარიტებაა და რაც ჭეშმარიტებად მიაჩნია ცილისწამებაა მხოლოდ. აღმოჩნდა... მაგრამ რაღა გავაგრძელოთ !.. ყოველივე ამგვარი აღმოჩენა საჭირო იყო ჩვენის ავტორისათვის. მის წიგნაკს სახელად « ქართველი ნაციონალისტები » ჰქვია და ქართველი ნაციონალისტები, გინდა თუ არა, ჩვენ უნდა გამოვსულიყავით. მაშასადამე, ყოველგვარი უმეცრება, დაბრმავება, ფლიდობა, მოტყუება და სიყალბე ჩვენს ბუდეში, « საქართველოს » რედაქციაში უნდა დაბუდებულიყო. და აი ამ უმეცრების, სიყალბის და ფლიდობის ძიებაში აღმოჩნდა და გამომჟღავნდა თვით ავტორის უმეცრება და სიყალბე !

1904

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უმთავრესი შეცდომები

| გვ. | სტრიქონი | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|
| 1 | 8 ზევ. | მირთალია | მართალია |
| 2 | 8 ქვევ. | თხულება | თხზულება |
| 2 | 19 ქვევ. | განსაკურებულ | განსაკუთრებულ |
| 3 | 15 ქვ. | მღთოდს | მეთოდს |
| 3 | 2 ქვ. | უფლეაბს | უფლებას |
| 4 | 10 ქვ. | ი დ ე ლ ს | ი დ ე ა ლ ს |
| 15 | 16 ზევ. | გაუქმებისაკენ | გაუქმებისაკენ |
| 16 | 19 ქვ. | მცველად გამოდისო. | მცველადაც კი გამოდისო. |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**იბეჭდება:**

ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციის ოქმები.

**მზადდება დასაბეჭდად:**

« რევოლუცია და რევოლუციის ტაქტიკა ».

---

**ფასი : 50 სანტიმი — 20 კაპეიკი.**

---